საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 64
(11 725)

22 - 25 აგვისტო, 2003 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ნომერშია:

- ვალერი გაზაევი საქართველოს ნაკრებში?



- თბილისში ართმევენ, ბათუმში აძლევენ...
- ეცით პაგივი პრესკონფერენციებს
- ბასა ლოლობერიძე მაინც სხვა იყო...
- ტრაგიკულად დაღუპული ფეხბურთელები
- აბრამოვიჩი „ფორმულა 1"-საც მისწვდა



- საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი



## ნომრიდან — ნომრამდე...

● **ბოლო სამი ოლიმპიადის** მონაწილე 2000 წლის თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი ამერიკელი ველომრბოლი, „ტურ დე ფრანსის" ხუთგზის გამარჯვებული ამერიკელი ლენს არმსტრონგი აპირებს იასპარეზოს ოლიმპიურ თამაშებში 2004 წელს ათენში და მეოთხე ცდაზე ოქროს მედლის მოპოვებას გეგმას.

● ფიდეს „რეიტინგლისტში" **50 უძლიერეს ქალთა შორის ქართველებიდან მაია ჩიბურდანიძე მეოთხე ადგილზეა (2497), მეთორმეტეზეა ნანა იოსელიანი (2475), ოცდამეორე — ნანა ძაგნიძე (2446), ოცდამეოთხე — ნინო ხურციძე (2440), ოცდამეექვსე — ქეთევან კახიანი (2439), გერმანია ორმოცდამეხუთე — მაია ლომინეიშვილი (2409), ორმოცდამეექვსე — ქეთევან არახამია (2408). „რეიტინგლისტში" ლიდერობს უნგრელი იუდით პოლგარი (2718).**

● **ინდოელმა დიდოსტატმა** ვიშვანანთან ანანდმა სწრაფ ჭადრაკში 5:3 დაამარცხა უნგრელი მოჭადრაკე ქალი იუდით პოლგარი.

● გამოქვეყნდა მსოფლიო საჩოგბურთო **ელიტის რეიტინგი: 1. რედიკი (აშშ) — 607, ფედერერი (შვეიცარია) — 599, ფერერო (ესპანეთი) — 574. ქალები: 1. კლიისტერი (ბელგია) — 6034, 2. სერენა უილიამსი (აშშ) — 5995, ენენარდენი (ბელგია) — 5307.**

● **მოსკოვმა სოკ-ს** გადაურიცხა 150 ათასი აშშ დოლარი, როგორც 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის პრეტენდენტმა. ამ აუცილებელ შენატანს წესდება ითვალისწინებს.

● სასამართლოში დამტკიცდა, **რომ ნბა-ს ყოფილ კალათბურთელს დენის როდმანს, ქალის მიმართ, რომელიც მას ძალადობის გამო უჩიოდა, არავითარი ძალადობა არ გამოუყენებია. ახლა 42 წლის როდმანი კვლავ აპირებს დაუბრუნდეს კალათბურთს.**

## გაზეთის დაბეჭდვამდე:

### ჰიპნოზით 30 ათასი დოლარი დასცანცლეს...

სინქრონულ ცურვაში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი, უკვე ვეტერანი იულია შესტაკოვიჩი ჯერ კიდევ შოკშია მას შემდეგ, რაც გუშინ მოსკოვში მეტროდან ამოსვლისას უცნობი სიმპათიური ქალი გამოელაპარაკა, იულიამ შინ წაიყვანა და საკუთარი ხელით ჩააბარა 30 ათასი დოლარი და ძვირფასეულობა. გაირკვა, რომ უცნობმა ვეტერან სპორტსმენზე ჰიპნოზით მოახდინა ზემოქმედება. ამ საკითხით უკვე დაინტერესდა მოსკოვის მილიცია. სიმპათიურ წითელკაბიან ქალზე ძიებაა გამოცხადებული.

როგორც ჩანს მოსკოვში ფეხს იკიდებს ახალი კრიმინალი.

### ნორვეგიელები, შვედები და დანიელები ჩემპიონთა მინი-ლიგას ქმნიან

ცნობილი გახდა, რომ ნორვეგიის, შვედეთისა და დანიის ფეხბურთის ფედერაციები 2004 წლიდან ჩაატარებენ ჩემპიონთა მინი-ლიგის გათამაშებას, რომელშიც თითოეული ქვეყნის სამსამი საუკეთესო კლუბი იასპარეზებს.

## ვულოცავთ კოლეგას

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედების ზონიდან ურთულეს პირობებში მისივე დაარსებული სპეციალური გაზეთის საშუალებით მოსახლეობისათვის ობიექტური ინფორმაციის ოპერატიულად მიწოდებისათვის, სამხედრო ოპერაციების განხორციელების დროს ბრძოლის ამსახველი მასალების მომზადებისას გამოჩენილი მამაცობისათვის, პატრიოტული პათოსის მქონე პუბლიკაციებისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ლტოლვილი მოსახლეობისათვის გაწეული დახმარებისათვის, საქართველოში ბერძნული საინფორმაციო ცენტრის „ელინიკი დიასპორის" პრეზიდენტი, გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" მთავარი რედაქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი **ვადიმ ანასტასიადი** დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

## მილოცვები

საქართველოს სპორტისა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირი დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავს ვეტერან მოჭიდავეს სიკეთით გამორჩეულ პიროვნებას **ელგუჯა ბითარიშვილს.**

* * *

მეგობრები და კოლეგები დაბადების დღეს ულოცავენ ვეტერან მოჭიდავეს, სპორტის ოსტატს, ვეტერანთა შორის 2003 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორს **შალვა გაფრინდაშვილს.**

## დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, საგინესო-სარეკორდო ასპარეზობისას მიღწეული წარმატებებისა და აქტიური სპორტული საქმიანობისათვის გინესის მსოფლიო რეკორდსმენი, მძლეოსანი **გოდერძი მახარაძე** დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

## ნუთუ მართალია...
## „პეტრეს დარბაზი" ეკონომიკურ ბლოკადაშია

ახლახან „ლელოს" ერთ-ერთ ნომერში მინიშნებით ვწერდით, რომ თბილისში ყოფილ ორჯონიკიძის ქუჩაზე მდებარე საჭიდაო დარბაზი, რომელიც ათეული წლები ქართველ ფალავანთა აღზრდის თვალსაჩინო კერას წარმოადგენდა და რომელსაც სიყვარულით ყველა „პეტრეს დარბაზს" ეძახდა, აქ მომუშავე შესანიშნავი სპეციალისტის პეტრე იორდანიშვილის საპატივცემულოდ, ძალიან ცუდ დღეშია და მიხედვას საჭიროებს. პუბლიკაციას უმალვე მოჰყვა გამოხმაურება და მავანთა გულისწყრომა, რომ სათქმელი ბოლომდე არ ითქვა. ზემოხსენებული წერილი ერთი მწვრთნელის საქმიანობას ეხებოდა და, ამდენად, არც გვქონია იმის პრეტენზია, რომ დარბაზის ბედზე უფრო ვრცლად გვესაუბრა. რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, ცნობილი ეს უკვე ჩვენთვის შემდეგ გახდა.

მაინც რა გახდა ცნობილი? შევიტყვეთ, რომ დარბაზი თურმე სრულ იზოლაციაში, ანუ ეკონომიკურ ბლოკადაშია, - ჩაუჭრიათ წყალი, განათება, ტელეფონი, დარბაზის თანამშრომლებს ხელფასი გასული წლის დეკემბრიდან არ მიუღიათ. ჩამონგრეული ჭერი თავად შეურემონტებიათ აქ მომუშავე მწვრთნელებს. რატომ ხდება ასე? დადის ხმები, რომ თითქოს ყველაფერი კეთდება წინასწარ განზრახვით, ქალაქის ცენტრში მდებარე ამ შენობის ხელში ჩაგდების მიზნით. საამისოდ კი, ვიდრე გაიყიდება, საჭიროა ჯერ სპორტულმა ბაზამ ფუნქცია დაკარგოს.

ჭორის გადამოწმება, მოგეხსენებათ, ძნელია, ხოლო თუ გამართლდა, მერე უკვე გვიანია. ასეთია ჩვენი ცხოვრების, ანუ „პრიხვატიზაციის" წესი. არა გვჯერა და ვერც დავიჯერებთ, რომ ასეთ ისტორიულ და დიდი ტრადიციების საჭიდაო დარბაზი, ვინმემ ავი ზრახვით ამოიღოს ნიშანში. არა გვჯერა იმიტომ, რომ თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური (უფროსი დავით ჭელიძე) დღენიადაგ ზრუნავს სპორტული მუშაობის ამაღლებისათვის დედაქალაქში. ასე რომ, ხსენებულ დარბაზს ასე ჰაიჰარად არავინ დათმობს. ვფიქრობთ, პრობლემა ხსენებული სამსახურის ყურამდე რომ მისულიყო, მისი მოგვარება ნამდვილად არ გაჭიანურდებოდა.

ასე რომ, მავანთა გულისწყრომას ვილებთ იმ იმედით, რომ დ. ჭელიძის სამსახური პრობლემებს მალე გადაჭრის.

მიმომხილველი

## შეკითხვა „ლელოს"

**შეკითხვა: სპორტულ ინფორმაციებში ხშირად მხვდება სიტყვა „ვიზავი". გთხოვთ განმიმარტოთ რა მნიშვნელობის მატარებელია ეს სიტყვა?**

ლევან სინაურიძე
თბილისი

**პასუხი:** ვიზავი ფრანგული სიტყვაა (Vis a-Vis) - 1. (ზმნისართი). ვისიმე პირდაპირ, პირისპირ. 2. ვისიმე პირდაპირ მდგომი ან მჯდომი ვინმე.

## საქართველო — ალბანეთი

### მწვრთნელთა ძიება გრძელდება




რამდენიმე დღეში სანაკრებო თემა ისევ აქტუალური გახდება. ალბანელებთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩამდე ორ კვირაზე ცოტა მეტი რჩება. სფფ-ს პრეზიდენტი და ეროვნული ნაკრების დროებითი მწვრთნელი, მერაბ ჟორდანია კარგახანია მივლინებაშია და თავის თანაშემწეებთან ნაკრების დარჩენილ მატჩების თაობაზე შეხვედრა-კონსულტაციებს მართავს. ალბანელებთან პირველი მატჩი 6 სექტემბერს ეროვნულ სტადიონზე 20 საათზე დაიწყება. ჩვენი ეროვნული გუნდი მატჩისთვის მზადებას, სავარაუდოდ, 1 სექტემბრიდან დაიწყებს და შეიძლება ნაკრები გუნდების ტექნიკურ ცენტრში დაბინავდეს. გუნდის შემადგენლობა, ძირითადად იმ ფეხბურთელებით დაკომპლექტდება, ვინც შესარჩევი ციკლის მატჩებში მონაწილეობდა. სფფ-ს მესვეურებმა თადარიგი დაიჭირეს და ნაკრების თავკაცები მეტოქეებზე სათანადო ინფორმაციას და ალბანეთისა და რუსეთის ნაკრებთა ბოლო ახანაგური მატჩების ვიდეო ფირებს მიიღებენ.

პარალელურად, ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს ნაკრების მთავარი მწვრთნელის კანდიდატურის შერჩევისათვის, რომელიც ეროვნულ გუნდს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრის (5 დეკემბერი) შემდეგ ჩაიბარებს. გადაწყვეტილი ამბავია, ნაკრების მწვრთნელი აუცილებლად უცხოელი იქნება. წლის ბოლომდე ყველაფერი ცნობილი გახდება.

ამჟამად, კანდიდატთა რაოდენობა სამი სერბით, სამი რუმინელით და თითო-თითო არგენტინელით და რუსით შემოიფარგლება. სფფ არ ჩქარობს, ჯერ საჭიროა მიმდინარე შესარჩევ ციკლში თეორიული შანსის გამოყენებაზე ვიფიქროთ და სიახლეებზე მერე ვილაპარაკოთ, ამიტომ გასაგები მიზეზების გათვალისწინებით, უცხოელ სპეციალისტთა ვინაობა არ ხმაურდება. მწვრთნელის საუკეთესო ვარიანტის შერჩევა-ძიება გრძელდება.

## ახალგაზრდები დიდ გამოცდაზე მიდიან

მას შემდეგ, რაც საქართველოს ჭიდაობის პრეზიდენტად გოჩა ძასოხოვი მოვიდა, ჩვენი მოჭიდავეებიდან არც დიდებს, არც ახალგაზრდებს და არც ჭაბუკებს არ ჩაუგდიათ არც ერთი საერთაშორისო ასპარეზობა. მეტიც, ისინი ყველგან მონაწილეობენ სრული გუნდით, მწვრთნელთა და მსაჯთა საჭირო რაოდენობაც მუდამ თან ახლავს გუნდებს.

აქამდაც ასეა, დღეს 22 აგვისტოს, სტამბულში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიო პირველობაზე (25-28 აგვისტოს) მიემგზავრება ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები. შემდეგ მათ კვალს გაჰყვება თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ახალგაზრდული გუნდი, რომლებიც შეჯიბრებაში „კლასიკოსთა" შეჯიბრების დამთავრებისთანავე ჩაებმებიან ტურნირში იმავე ხალიჩაზე.

გაგაცნობთ გუნდების შემადგენლობას. **ბერძნულ-რომაული ჭიდაობა:** 50 კგ — მალხაზ სოლომონიძე, 55 კგ — დავით ბედიანიძე (ორივე — ბათუმი), 60 კგ — ლაშა ლომაძე (ოზურგეთი), 66 კგ: ომარ ბაკურიძე, 74 კგ — რამინ ფევაძე (ორივე — ბათუმი), 84 კგ — ლუკა ბოძაშვილი, 96 კგ — რამაზ ნოზაძე (ორივე — თბილისი), მძიმე — რამაზ ჭელიძე (ოზურგეთი), უფროსი მწვრთნელია ვლადიმერ ადეიშვილი, მწვრთნელები — ვილი ხარაზოვი და დავით ლატარია.

**თავისუფალი ჭიდაობა:** 50 კგ — ვალერი რიკაძე (ხაშური), 55 კგ — მალხაზ ქურდიანი (ბოლნისი), 60 კგ — კობა კაკალაძე (ქობულეთი), 66 კგ — ცოტნე ბარამიძე, 74 კგ — ნიკოლოზ ტლაშაძე, 84 კგ — ვასილ ჩოხელი (სამივე — გორი), 96 კგ — ბაჩანა კარანაძე (რუსთავი), მძიმე — ზვიად სისაური (თბილისი). უფროსი მწვრთნელია ნუგზარ სხიერელი, მწვრთნელი — ჯონი ლორია.

ასპარეზობის დღეებში გუნდებთან ერთად იქნებიან ცნობილი ვეტერანი ფალავანი, მსოფლიო ორგზის ჩემპიონი გურამ სალარაძე, ფედერაციის გენერალური მდივანი ომზარ შოშიტაშვილი და მსაჯი — ვეტერანი ფალავანი მსოფლიო ჩემპიონი, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი თემურ ყაზარაშვილი.



ცხენოსნობა. საერთაშორისო ტურნირი

## ორი დღე უჯარიმოდ



თბილისის იპოდრომი, რომლის სამართალ მემკვიდრეა შპს „ჟოკეი კლუბი" (დირექტორი ლაშა ჯაიანი) კვლავ ინარჩუნებს ჩვენს ქვეყანაში საცხენოსნო სპორტის ცენტრის სტატუსს. უწინარესად მხედველობაში გვაქვს ე.წ. კლასიკური, ანუ საერთაშორისო სახეობები, თუმცა აქ სპორტის ეროვნულ სახეობებსაც მიაგებენ ჯეროვან პატივს. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ცხენს და ცხენოსნობას თბილისში ახლა უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ვიდრე ეს ადრე იყო. საქმე იმაშია, რომ იპოდრომის თავლებში მომრავლდნენ კერძო ცხენები, მუშაობს რამდენიმე საცხენოსნო ორგანიზაცია. სწორედ ზემოხსენებულმა დადებითმა ძვრებმა განაპირობა ის, რომ სხვადასხვა შეჯიბრებებში თბილისელი მხედრები ურიგოდ არ გამოდიან. უკვე ტრადიციად დამკვიდრდა თბილისში ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით „კავკასიის თასის" გათამაშება.

„ჟოკეი კლუბისა" და შპს „ქართული ცხენის" მხედრები ამ დღეებში მიწვეულნი იყვნენ ბაქოში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე. სასპარეზოდ შეიკრიბნენ რუსეთის, საქართველოს, მოლდოვას და აზერბაიჯანის ცხენმხედრები. ტურნირი ჩატარდა ცხენთა ორ ასაკობრივ ჯგუფში დაბრკოლებათა გადალახვაში. ახალგაზრდა ცხენებით ასპარეზობაში ბადალი არ ჰყავდათ „ჟოკეი კლუბის" მხედარს და მის მერანს „ბირთვისს". ქართველმა ცხენოსანმა ორი დღის ჯამში საუკეთესო შედეგი აჩვენა, ანუ, უჯარიმოდ გაიარა ყველა

იხ. მე-2 გვ.

ATHENS 2004

ათენში 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე 1 წელიწადი დარჩა

torino 2006

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 2 წელიწადი და 7 თვე გვაშორებს

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო — ქართულ სპორტს!

## უკეთ, ვიდრე სიდნეიში!

ნიჩბოსნობა. იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი

## ჩვენი ნიჩბოსნები დიდ წყალზე



ათენში ჩატარდა იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში, სადაც საქართველოს ორი ეკიპაჟი მონაწილეობდა. გასაშლელ ორიანში უმესაჭოდ მცხეთელებმა შიო ჯატიაშვილმა (სურათზე მარცხნივ), გიორგი ელყანიშვილმა (მწვრთნელი დიმიტრი ლოლუა) X ადგილი დაიკავეს. ჩვენი ეკიპაჟის წევრები, თბილისის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის მოსწავლეები არიან. „ეს ბიჭები პირველად გავიდნენ დიდ სარბიელზე და X ადგილი, რომელიც დაიკავეს, კარგ შედეგად უნდა ჩაითვალოს. მათ მომავალი ჯერ კიდევ წინ აქვთ. ეკიპაჟის მომზადებაში დიდი წვლილი შეიტანა, როგორც ზემოხსენებულმა სასწავლებელმა, ისე სპორტის დეპარტამენტმა, ნიჩბოსნობის ეროვნულმა ფედერაციამ და მცხეთის ხელმძღვანელობამ. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ჩვენ ახალგაზრდებს ხელი შევუწყოთ მომზადებაში, რათა უკეთ გამოვიდნენ მომავალი წლის იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატზე. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ წლევანდელ ჩემპიონატზე, ამ რთულ პროგრამაში, რამდენიმე ქვეყანას ეკიპაჟი არ ჰყავდა, მათ შორის მასპინძლებს" — გვითხრა ჩვენი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გივი ნიკურაძემ.

ნინო ქავთარაძე

## ჩვენი «პროფესორა» მოგონება

### მიხეილ ზარგარიანის დაბადებიდან 90 წლისთავი

სპორტის გულშემატკივრები მიხეილ ზარგარიანს შერქმეული სახელით — „პროფესორად" იცნობდნენ და უყვარდათ იგი. სტადიონზე რომ გამოჩნდებოდა, ისმოდა გულშემატკივართა შეძახილები „პროფესორ!" „პროფესორ!"

მიხეილ ზარგარიანი „ლელოში" ფოტორეპორტიორად მუშაობდა 1952 წლიდან. თითქმის 30 წლის მოღვაწეობის მანძილზე მან შექმნა ქართული სპორტის იშვიათი მატიანე. ეს სულიერი სიმდიდრე დაუტოვა „ლელოს" რედაქციას. მიხეილ ზარგარიანის დროს „ლელოს" არ ჰქონდა ფოტოსურათების დეფიციტი.

მოუსვენარი მიშა თელავიდან იყო. მას არ დაუმთავრებია საშუალო სკოლა. თბილისში რომ ჩამოვიდა, შოფრობა ისწავლა. გაუმართლა, რომ გამოჩენილი რეჟისორის მიხეილ ჭიაურელის მძღოლი გახდა. დიდხანს მოსკოვშიც ახლდა მას. იქ ცოლად მოსკოველი შეირთო. სწორედ დიდმა რეჟისორმა შეარქვა მას „პროფესორა", როგორც ავტომანქანის უბადლო მცოდნეს. ხუმრობით შერქმეული მეტსახელი მიშას სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. იგი გარდაიცვალა 67 წლის ასაკში 1979 წელს.

ფოტოსაქმეც მიშამ დიდ რეჟისორთან ისწავლა. იგი მუდამ ესწრებოდა ფილმების გადაღებას. მიხეილ ჭიაურელმა ნიჭიერება რომ შეამჩნია, ურჩია: — სულ შოფერი ხომ არ უნდა იყო, ფოტოსაქმეს დაეუფლე და ლუკმა პური ყოველთვის გექნებაო!

მოსკოვიდან თბილისში რომ დაბრუნდა, მიშამ „ლელოში" დაიწყო მუშაობა. ლაბორატორიაც მოიწყო. დაუზარებლად მიჰყვა საქმეს. მით უმეტეს, რომ პატარა „მოსკვიჩიც" ჰყავდა. მალე ლელოელების გულიც მოიგო. სმა არ უყვარდა, ეხერხებოდა ხუმრობა, მოსწრებული სიტყვა-პასუხი და აკორდეონზე დაკვრა.

ყველაზე მეტად მე მიხდებოდა მასთან ურთიერთობა. ერთად ვესწრებოდით ჩვენი მოჭადრაკე ქალების მატჩებს მსოფლიო პირველობაზე მოსკოვში, რიგაში და ბიჭვინთაში. ჩემს წიგნებში მრავლადაა მისი გადაღებული ფოტოები.

იგი საზღვარგარეთაც ყოფილა „ლელოს" რედაქტორ მიშა კაკაბაძესთან ერთად.

მოხერხებული კაცი იყო. ყველა ლელოელს დაასწრო ბინის მიღება. ვინც დაეხმარა (მთავრობიდან), შინ მიიწვია და თავის მომზადებული ხაშითა და ხინკლით გაუმასპინძლდა.

„პროფესორა" მუდამ ცდილობდა კარგი ურთიერთობა ჰქონოდა მიხეილ ჭიაურელის ოჯახთან. ხშირად აკითხავდა, მით უმეტეს, როცა დიდი კინორეჟისორი თბილისში დაბრუნდა საცხოვრებლად.



*1953 წ. „ლელოს" რედაქციაში. თენგიზ გიორგაძე და მიხეილ ზარგარიანი საჭადრაკო დაფასთან*

ერთხელაც, 1953 წლის შემოდგომაზე, მიხეილ ჭიაურელს მოსკოვთან ტელეფონით დაკავშირება რომ გაუჭირდა, „პროფესორამ" „ლელოში" მიიწვია. ცხადია, მთელი რედაქცია გულთბილად და ინტერესით შეხვდა საამაყო მამულიშვილს.

ვიდრე მოსკოვს დაუკავშირდებოდა, ლელოელებს გვესაუბრებოდა, შეკითხვებზე გვპასუხობდა. ეს ის დრო იყო, როცა ბევრი რამ გვაინტერესებდა. დღემდე მახსოვს რამდენიმე შეკითხვაზე მისი პასუხი.

ვთხოვეთ ეამბნა იოსებ სტალინზე, რომელთანაც ახლოს იყო.

— ბევრჯერ ვყოფილვარ სტალინთან შინ. გავიხსენებ ერთ საინტერესო შეხვედრას, — გვიამბობდა ბატონი მიხეილი. — ერთხელ სტალინს პატარა წვეულება ჰქონდა. უყვარდა ასეთი თავშეყრა. მეც მიწვევდა. მოსწონდა ჩემი ხუმრობა, ქართული სიმღერები გიტარის თანხლებით. ამჯერადაც ასე იყო. პურობისას თავად მაძალებდა ღვინოს. სტუმრები რომ აიშალნენ, კარგად შექეიფებული ვიყავი. კარებამდე თავად გამაცილა. გამიკვირდა, მაგრამ ვერაფერს მივხვდი. შინ დავბრუნდი თუ არა, მაშინვე დავიძინე. მეორე დღეს შინაურებმა მითხრეს, სტალინმა გიკითხაო. თავად დავურეკე. სტალინმა მხოლოდ ის მკითხა: როგორ იმგზავრეო. კარგადმეთქი. ხომ არაფერი მოგვსლიაო. არა. მაშინ გამოეწყვე შენს კარგ კოსტიუმში, გუშინ რომ გეცვა და მოდიო. საგონებელში ჩავვარდი. სწრაფად გავჩნდი სტალინთან, მომესალმა ღიმილით, შემომაბრუნ-შემატრიალა და დასძინა: „იღბლიანი ყოფილხარ. გუშინ გაცილებისას კვერცხი ჩაგიდე ჯიბეში, ვიფიქრე მანქანაში კვერცხს გაჭყლეტს და კოსტიუმსაც გააფუჭებს. მაგრამ არ გამიმართლა!"

შინ რომ დავბრუნდი, მოსამსახურე ქალმა მითხრა: — გუშინ თქვენს ჯიბეში ქათმის კვერცხი აღმოვაჩინეო. მაშინვე მოვატანინე და საგანგებო კოლოფში მოვათავსე, იგი რელიკვიად შენახული მაქვს!

თუ რატომ არ იღებს ფილმს „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით, ბატონმა მიხეილმა გვითხრა: — ამ დიდებულ ქმნილებას კინოში ვერავინ გადაიღებს. პოემის სიუჟეტი დრამატულად საინტერესო არ არის, ხოლო მისი გენიალური აფორიზმების, შეგონებების გადაღება კინოს არ ძალუძს. მათ გარეშე კი „ვეფხისტყაოსანი" კარგავს თავის ღირებულებას!

მიხეილ ზარგარიანს კარგი ოჯახი დარჩა. ვაჟი ბორისი — პედიატრი, ქალიშვილი ირინა უცხო ენების სპეციალისტი და შვილიშვილები. „პროფესორას" ფოტომატიანე უკვე ამუშავდა: გაზეთებში სულ უფრო ხშირად იბეჭდება ჩვენი სპორტის ისტორიული წარსულის ამსახველი ფოტოები.

თენგიზ გიორგაძე

## ბათუმელ ფალავნებს დარბაზს გაურემონტებენ

ბათუმელი ფალავნები არასოდეს ყოფილან განებივრებულნი კარგი სპორტული დარბაზით. აქამდე ისინი გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე შენობაში იწვრთნებოდნენ, რომელიც ეკლესიას ეკუთვნოდა და ახლახან ნაგებობა კვლავ საპატრიარქოს დაუბრუნდა. აჭარის ჭიდაობის სახეობების ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა ანდრო ქავთარაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ფალავანთა ინტერესები ადგილობრივმა მთავრობამ უყურადღებოდ არ დატოვა და ფიროსმანის ქუჩაზე სპორტული კომპლექსის ერთ-ერთი დარბაზი მალე მათ განკარგულებაში გადავა. მართალია, დარბაზი სარემონტოა, მაგრამ, ამას მოევლება. აქაურ ფალავნებს და მათ მწვრთნელებს ბათუმის მერის გიორგი აბაშიძის დიდი იმედი აქვთ.

ოთარ მურვანიძე. „ლელოს" საკ. კორ. ბათუმი

## წერეთელი ყველას სჯობს!

„ღია სახალისო ფეხბურთის სკოლების" ქართულმა წარმომადგენლობამ ფართოდ გაშალა ფრთები საქართველოში და მოიცვა გორი, თელავი, მცხეთა, ქუთაისი, წყალტუბო, მარნეულის რაიონის სოფელი წერეთელი, ცხინვალის მიმდებარე თამარაშენი. ამ დღეებში დამთავრდება სემინარები ზუგდიდსა და წალენჯიხაშიც. პროექტის ავტორისა და დირექტორის, ანდერს ლევინსენის თქმით, ყველას ჯერჯერობით, პატარა სოფლის, წერეთლის სკოლა სჯაბნის. მიმდინარეობს სემინარები ზუგდიდში (ინსტრუქტორები ჯემალ გოგია და ცაცა შელია) და წალენჯიხაში (მაცი კვარაცხელია). ცხრა სკოლაში უკვე მოემზადა 100-მდე ქართველი მწვრთნელი და 2000-მდე პატარა ფეხბურთელი. საქართველოში პროექტის კოორდინატორის თამაზ თევზაძის თქმით, პროექტის ასეთი წარმატება იმის იმედს იძლევა, რომ უახლოეს წლებში პროექტი კიდევ გაგრძელდება საქართველოში.



## ნუხა გაგოშიძე - 65



უამრავი ნაცნობ-მეგობარი, კოლეგა, სპორტსმენი თუ გულშემატკივარი არაერთხელ მოხიბლულა ამ კაცის სიდარბაისლით, თბილი გამომეტყველებით და ალერსიანი ლოგიკით. ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ მის სახელს და გვარს ყველა მუდამ სიყვარულით წარმოთქვამს, — ნუხა გაგოშიძე.

ასეთები ბუნებით იბადებიან. ნუხა რომ ქართველი კაცის საუკეთესო თვისებების მატარებელია, ყველა დაგვეთანხმება. მისნაირები ცხოვრებაში, როგორც იტყვიან, არ დაიკარგებიან, რა საქმესაც უნდა შეეჭიდონ, თავის კვალს დატოვებენ უთუოდ. საქართველოს სპორტს ბედნიერება ხვდა წილად, რომ სწორედ ასეთი ადამიანი — ნუხა გაგოშიძე ყმაწვილკაცობიდან დამკვიდრდა მის სამყაროში, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება აქ გაატარა და მიუხედავად ათასგვარი პრობლემისა, დღეს უკვე ეს 65 წლის კაცი მუდამ ახლის ძიებაშია, შემოქმედება იყო და არის მისი საქმიანობის სტილი. ნუხა გაგოშიძის ხელმძღვანელობით, მიუხედავად ჩვენი ყოფის არასახარბიელო პირობებისა, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სპორტკომიტეტი სპორტულ და მასობრივ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში ერთ-ერთ მოწინავედ იქცა დედაქალაქში. სწორედ მისნაირ პროფესიონალს უნდა ეხელმძღვანელა და ხელმძღვანელობს კიდეც საქართველოს მოსახლეობის მასობრივი გაჯანსაღების ასოციაციას.

ნუხა გაგოშიძე 65 წლისა გახდა. ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და ახალი შემოქმედებითი გამარჯვებები გვისურვებია, ჩვენო დიდო მეგობარო!

ლელოელები

## ოთხი წავიდა — ოთხივე მედლით დაბრუნდა



ამ დღეებში ოდესაში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ვეტერან ფალავანთა მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლა საშუალო და უფროს ასაკში. 56 კგ-მდე წონაში საქართველოდან ჩემპიონატში თემურ ნინიკური და ესტატე გოგლიჩიძე მონაწილეობდნენ. +56 კგ-დან — შალვა გაფრინდაშვილი და ომარ მელაშვილი.

ესტატე გოგლიჩიძე (120 კგ) მეორე ადგილზე გავიდა, თემურ ნინიკური (76) მესამე იყო. ასევე, მესამე პრიზიორები გახდნენ 62 წლის შალვა გაფრინდაშვილი და 61 წლის ომარ მელაშვილი. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი მეტოქე ჰყავდა მელაშვილს, მათ შორის მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ვეტერანებში ვალერი პეტროვი, სწორედ მან გადაუკეთა ჩვენს ფალავანს ფინალისკენ მიმავალი გზა.

მელაშვილი ამ შეჯიბრებაზე ჩვენმა ცნობილმა ფალავანმა რომან რურუამ დააფინანსა. დანარჩენები ისან-სამგორის რაიონის გამგეობამ (გაფრინდაშვილი), რუსთავმა (ნინიკური), ქუთაისმა (გოგლიჩიძე).

ვეტერანთა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი გაისად ჰელსინკში გაიმართება.

ნინო ქავთარაძე

## ორი დღე უჯარიმოდ

*პირველი გვერდიდან*



ცოტნე ლაბაშია ასპარეზობისას

დისტანცია, რაც იშვიათობაა სპორტის ამ სახეობაში და მთავარ პრიზს დაეუფლა. უფროსი ასაკის ცხენებით შეჯიბრებაში მეორე თბილისელმა მხედარმა ცოტნე ლაბაშიამ პირველ დღეს 4 საჯარიმო ქულით დაასრულა ასპარეზობა, მეორე დღესაც 4 საჯარიმო ქულა ჰქონდა, რამაც საბოლოოდ მას მესამე საპრიზო ადგილი მოუტანა. სულ ჩვენი ქვეყნის 8 ცხენ-მხედარი გამოდიოდა ბაქოს სარბიელზე.

„საცხენოსნო შეჯიბრებებით არ ვართ განებივრებულები. ამიტომ ბაქოს ტურნირში ასპარეზობით ჩვენმა მხედრებმა და მათმა მერნებმა უდავოდ კარგი გამოცდილება შეიძინეს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ცხენოსნობა თბილისში აღმავლობის გზით მიდის, რაშიაც დიდი წვლილი შეაქვთ აგრეთვე ცხენთა კერძო მფლობელებს" — თქვა „ლელოს" კორესპონდენტებთან საუბარში ლაშა ჯაიანმა.

თორნიკე ბაჩეჩილაძე



შალვა გაფრინდაშვილი



ომარ მელაშვილი

# ფეხბურთი რასიზმის გარეშე

UNITE AGAINST RACISM



## დავიცვათ უსაფრთხოებისა და პრესასთან ურთიერთობის წესები

გუშინ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში საკმაო ხალხმრავლობა იყო. მიზეზი ის გახლდათ, რომ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ჯერ ოთხი ტური ჩატარდა, მაგრამ იყო დებულების დარღვევის ფაქტები. როგორც გულშემატკივრების, ისე ფეხბურთელებისა და კლუბების ხელმძღვანელთა მხრიდან. სწორედ ამ საჭირბოროტო საკითხებს მიეძღვნა სტადიონებზე უსაფრთხოების ოფიცერთა და კლუბების პრეს-ატაშეთა სემინარი-შეკრება. სფფ-ის უსაფრთხოების სამსახურის ოფიცერმა მამუკა კვარაცხელიამ კლუბების წარმომადგენლებს მოსთხოვა, კიდევ უფრო გაამკაცრონ კონტროლი საკუთარ სტადიონებზე სანიმუშო წესრიგის დასამყარებლად. შეხვედრის მიმდინარეობის დროს თითოეულმა კლუბის წარმომადგენელმა შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით დააფიქსირა საკუთარი პოზიცია და ისაუბრა იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც ხელს უშლიან ჩვენში საფეხბურთო მატჩების უსაფრთხოდ ჩატარებას. შეკრებილმა საზოგადოებამ დასახა სწორედ ზემოთქმული ხელისშემშლელი მიზეზების აღმოფხვრის გზები.

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში უსაფრთხოების საკითხებზე ჩატარებული სემინარის დღის წესრიგი ასეთი გახლდათ:

1. უსაფრთხოების სამსახურების მუშაკთა კოორდინაცია (მომხსენებელი დ. რამიშვილი);
2. კლუბების უსაფრთხოების ოფიცერი და მისი მოვალეობანი (მ. კვარაცხელია)
3. პოლიცია და ეროვნული ჩემპიონატი (ლ. ხოზრევანიძე)
4. ევროპის უსაფრთხოების კონვენცია (თ. თევზაძე)
5. რასიზმის საკითხები (გ. ჯიშიაშვილი)

რაც შეეხება უმაღლესი ლიგის კლუბების პრეს-ატაშეთა შეკრებას, ისიც საკმაო ხანს გაგრძელდა და საქმიან ვითარებაში ჩაიარა.

კლუბების პრეს-ატაშეებმა იმსჯელეს ფეხბურთის პოპულარიზაციის საქმეში მედიის როლზე, პრეს-სამსახურის მნიშვნელობაზე, მედიისა და პროფესიული ლიგის ურთიერთობაზე. ასევე გამახვილდა ყურადღება საქართველოში სტადიონებზე, პრესლოჟების სათანადოდ მოწყობის აუცილებლობაზე, მატჩების დროს ფოტოკორესპონდენტთა განლაგების ახალ წესებზე, შერეული ზონებისა და საპრესკონფერენციო ოთახების მნიშვნელობაზე და დანიშნულებაზე.

ასეთი სახის შეხვედრა-სემინარები მომავალში სისტემატიურ ხასიათს მიიღებს.

დავით ბერიაშვილი

## სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე

## რატომ არ ტარდება პრესკონფერენციები?

გუშინწინ გამართულ სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე ძირითადად ჩემპიონატის რეგლამენტის დარღვევებზე და მატჩების შემდგომ არ შემდგარი პრესკონფერენციების შესახებ იმსჯელეს. სხდომა საკმაოდ აზარტულ ვითარებაში ჩატარდა, რაც განსახილველ საკითხთა თემატიკამ განაპირობა.

პირველი ლიგის პირველი ტურის მატჩში, ქობულეთში, ადგილობრივ გუნდისა და სამტრედიელი რკინიგზელების შეხვედრის წინ არ დაუკრეს საქართველოს ჰიმნი, რაც ჩემპიონატის რეგლამენტის დარღვევაა, რისთვისაც საფეხბურთო კლუბი „ქობულეთი" 100 ლარით დააჯარიმეს.

ჩემპიონატი ახალი დაწყებულია და უკვე ოთხ მატჩში გუნდების მწვრთნელები არ გამოცხადნენ პრესკონფერენციებზე, რაც ასევე რეგლამენტის დარღვევაა, თანაც საკმაოდ სერიოზული. მასმედიის წარმომადგენლებისადმი უპატივცემულობა გამოამჟღავნეს „ლოკომოტივი" — „სიონის" მატჩის შემდეგ, რისთვისაც რკინიგზელთა გუნდი 100 ლარით დაჯარიმდა. „ტორპედო" — „სპარტაკი" - „ლაზიკას" მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა ტორპედოელა მთავარი მწვრთნელი სოსო ფრუიძე, რის გამოც კლუბი საჯარიმო თანხას 100 ლარს გადაიხდის. პრესკონფერენციები არ ჩატარებულა „დილა" — „მერცხალისა" და „ლაზიკა" — „სიონის" მატჩების შემდეგ, ამიტომ, მასპინძელი გუნდებიც, სათანადოდ, 100-100 ლარით დაჯარიმდნენ.

სხდომაზე განიხილეს ჩხუბებისა და აყალ-მაყალის ფაქტებიც. „სიონის" მწვრთნელი ფირუზ რეხვიაშვილი მსაჯებთან კამათისთვის 100 ლარს გადაიხდის. მაყურებლების უწესობის გამო, დაზარალდა ოზურგეთის „მერცხალი". ვაიგულშემატკივრების მიერ ქვების სროლის გამო, გურულები 200 ლარით დააჯარიმეს, სტადიონის მესვეურნი კი, მკაცრად გააფრთხილეს. მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის გაძევებული ოზურგეთელი დავით ხუჭუა ორი მატჩითაა დისკვალიფიცირებული და 100 ლარს გადაიხდის. თბილისის „დინამოსა" და „ვიტ ჯორჯიას" მატჩში სტუმართა კარში არ ჩათვლილი გოლის გამო, გაგულისებული დინამოელები მსაჯებს მიეჭრნენ, ფეხბურთელთა არასპორტული საქციელის გამო „დინამო" 200 ლარით დააჯარიმეს. მატჩის გვერდითი მსაჯი ზურა ჯვარიძე, რომლის ზევით აწეულმა ალამმა „დინამოს" ნაღდი გოლი გააუქმა, უნებლიე შეცდომის გამო მსაჯობისგან ერთი თვე დაისვენებს. „ტორპედო" — „სპარტაკი" — „ლაზიკას" მატჩისას მაყურებლებთან უცენზურო კამათისათვის 100 ლარით დაჯარიმდა ქუთაისელთა თავკაცი სოსო ფრუიძე.

## ახალგაზრდებს მსაჯი შეუცვალეს

საქართველო — ალბანეთის ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩს ბოლნისში, 6 სექტემბერს ფინელი მსაჯები უნდა გაძღოლოდნენ, თუმცა გუშინ, უეფამ მსაჯები შეცვალა და ფინელების მაგივრად ოლიმპიელთა პაექრობას უკრაინელი არბიტრები უმსაჯებენ. მთავარი მსაჯი იგორ იშჩენკო იქნება, რომელმაც 20 აგვისტოს რუსეთი — ისრაელის ეროვნულ ნაკრებთა ამხანაგური მატჩი იმსაჯა.

## ჭაბუკები ერევანში დაპატიჟეს

21 და 23 სექტემბერს სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის მიწვევით გელა გომელაურის საქართველოს 17 წლიანთა ჭაბუკთა ნაკრები გუნდი სომეხ თანატოლებთან ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს.

## „ამერის" ორი გამარჯვება გერმანიაში

წარმატებით თამაშობს თავის პირველ საერთაშორისო ტურნირში „ამერის" ახალგაზრდული გუნდი. დარსაძის შეგირდებმა სამოყვარულო გუნდების საერთაშორისო ტურნირის ეგიდით უკვე ორი მატჩი გამართეს და ორივე მოიგეს. პირველ მატჩში რუსიას გოლით „აასენი" დაამარცხეს. მეორე შეხვედრაში კი, გაილაღეს ქართველებმა. „კესელბახს" 9-0 მოუგეს გოლები თანმიმდევრობით, რუსიამ – 3, ღუდუშაურმა – 2, ნიკოლაიშვილმა, გ. კილასონიამ, წინამძღვრიშვილმა და ჩიმაკაძემ გაიტანეს. მესამე შეხვედრას „ამერი" რამდენიმე დღეში გამართავს. თვის ბოლოს კი, შინ დაბრუნდება და პირველი ლიგის გათამაშებაში ჩაებმება.

## ქართველ მსაჯებს ევროპაში აქებენ

მართლა პარადოქსია, ეროვნულ ჩემპიონატში, თითქმის, ყოველ ტურში ჩვენს მსაჯებს პრობლემები ექმნებათ, რისი დასტურია, თუნდაც, კვარაცხელიასა და ჯვარიძის საქმეებიც, მაგრამ საბედნიეროდ, საფეხბურთო თემიდის წარმომადგენლებს ევროპაში აქებენ. სასიამოვნო ცნობა მოვიდა უეფადან. ქართველ მსაჯთა ბრიგადებმა ევროპულ სარბიელზე მაღალ დონეზე მსაჯობისათვის, შესაბამისი, მაღალი შეფასებები დაიმსახურეს. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა და ჩვენი მსაჯებიდან უმაღლესი შეფასება 8,9 ბალი დაიმსახურა მერაბ მალაღურაძემ, რაც ძალიან კარგი მსაჯობის ტოლფასია. ახალგაზრდულ, ჭაბუკთა ნაკრებთა, ინტერტოტოს თასის და უეფას თასის საკვალიფიკაციო ტურის მატჩების კვალიფიციური გაძღოლისათვის მაღალი შეფასებები დაიმსახურეს: ლევან ფანიაშვილმა, ასისტენტებმა: ზურაბ მენთეშაშვილმა, კობა გაბრიაძემ, ლევან მიქელაძემ, მამუკა ელიკაშვილმა, კახაბერ მესხმა და ალექსანდრე შილაკაძემ. ყოველივე ქართული სამსაჯო სკოლის მზარდ პროფესიონალიზმზე და საერთაშორისო ავტორიტეტზე მიუთითებს.

## ფეხბურთი რეგიონებში

ტრადიციულად, უმაღლესი და პირველი ლიგის გათამაშების დაწყების შემდეგ, რეგიონული ლიგის პირველობის ჯერიც დგება. რისთვისაც მზადების თადარიგს წინდაწინ იჭერენ რეგიონული ფეხბურთის ფედერაციების მესვეურები. ერთი ასეთი ღონისძიება ტარდება იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონულ ფეხბურთის ფედერაციებში. სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწეები, ოთარ გუნთაძე და ავთანდილ შალამბერიძე, აღნიშნული ფეხბურთის ფედერაციების ხელმძღვანელთა თხოვნით, რეგიონული პირველობის მსაჯებს და მატჩების ინსპექტორებს ინსტრუქტაჟს უტარებენ, კონსულტაციებით ეხმარებიან და სეზონისწინა გამოცდილებისთვის ამზადებენ. რეგიონული ლიგის ტურნირი სამ ზონაში სექტემბერში დაიწყება, მანამდე კი, მსაჯთა და ინსპექტორთა ტესტირება-გამოცდები სამსაჯო საინსპექტორო კომიტეტის წევრთა მეთვალყურეობით ჩატარდება.

## ქართული ფეხბურთი ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მომდევნო ტურიდან უკვე მოეწყობა მატჩების პირდაპირი ტელეტრანსლაციები. 23 აგვისტოს მეხუთე ტურსა და მთლიანად ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა „ლოკომოტივსა" და თბილისის „დინამოს" შორის „ლოკომოტივის" სტადიონზე საღამოს 20 საათზე დაიწყება და ელექტრო განათების თანხლებით ჩატარდება. შეხვედრის პირდაპირ რეპორტაჟს ტელეკომპანია „იმედი" გადასცემს. ამ შეხვედრის დროს ტაბლოზე პირველად დატრიალდება პროფესიული საფეხბურთო ლიგის რვაწამიანი კლიპი.

როგორც ეროვნული ჩემპიონატის, ისე სათაო შეხვედრების დროს, სტადიონებზე, გასახდელებში და საპრესკონფერენციო დარბაზებში განლაგდება პროფესიული საფეხბურთო ლიგის სპონსორთა სარეკლამო დაფები.

## თბილისის „დინამო" რელსებზე დადგება

მეხუთე ტურის მატჩებიც სამ დღეზეა გადანაწილებული. ტურში ორი ცენტრალური შეხვედრა გაიმართება და ორივეს დედაქალაქის სტადიონები უმასპინძლებენ. თბილისური დერბი შედგება რკინიგზელთა სარბიელზე. „ლოკომოტივი" „დინამოს" მიიღებს. მეორე დღეს, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მატჩია, „შევარდენზე" ვიტელები „ტორპედოს" უმასპინძლებენ. გარდა საინტერესო წყვილებისა, ტურს სიმძაფრეს, ისიც ანიჭებს, რომ უეჭველად დაიწყება შვიდიანებზე აწყობილი, გეომეტრიული სიზუსტით აშენებული გათამაშების ცხრილი. შვიდქულიანი შვიდეულის ოთხი წევრი, ხომ ერთმანეთს დაუპირისპირდება.

დაწინაურებული ბოლნისური „სიონი" შინ ითამაშებს და უეფას თასზე მატჩის წინ, ერთგვარ, რეპეტიციას „მცხეთასთან" გაივლის. უნდა აღინიშნოს ვლადიმერ პანოვის შეგირდების სასიამოვნო ფერიცვალება. პირველ ტურში „ვიტ ჯორჯიასთან" განცდილი მტკივნეული მარცხის შემდეგ ლიგის დებიუტანტებმა სამ შეხვედრაში შვიდი ქულის მოპოვება შეძლეს და ლიდერთან პაექრობა კარგი შანსია იმის დასამტკიცებლად, რომ ეს შედეგი შემთხვევითობა კი არა, მწვრთნელთა და ფეხბურთელთა შეწყობილი მუშაობის მაჩვენებელია. ჩემპიონატის მაჩანჩალა ზღვისპირული „დინამო" გასვლით მატჩს გამართავს ოზურგეთში და „მერცხალთან" ჭიდილში შეეცდება მძიმე ვითარების, ოდნავ მაინც, გამოსწორებას. ფოთის „კოლხეთი" თბილისს შეკედლებულ ზუგდიდელ მეზობლებს „სპარტაკ-ლაზიკას" მიიღებს. მშობლიური „ფაზისზე" კოლხები, წინა ტურში, ქუთაისში დაკარგული სამი ქულის ანაზღაურებას შეეცდებიან. ტური ორშაბათის მატჩით დასრულდება. „თბილისი" გორის „დილას" მიიღებს. გუნდებს სულ სამი ქულა აშორებთ, რაც ერთგვარ, ინტრიგას სძენს ტურის ბოლო მატჩს. მეხუთე სამდღიანი ტურის თანმიმდევრობა ასეთია:

საქართველოს XV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
V ტური
უმაღლესი ლიგა

**23 აგვისტო, შაბათი**

კოლხეთი 1913 — სპარტაკი-ლაზიკა
ლოკომოტივი — დინამო (თბ)
მერცხალი — თბილისი (ბთ)
სიონი — მცხეთა

**24 აგვისტო, კვირა**

ვიტ ჯორჯიია — ტორპედო

**25 აგვისტო, ორშაბათი**

თბილისი — დილა

**გათამაშების ცხრილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-3 | 8 |
| დინამო (თბ) | 4 | 2 | 1 | 1 | 10-2 | 7 |
| ვიტჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 10-4 | 7 |
| დილა | 4 | 2 | 1 | 1 | 6-3 | 7 |
| ლოკომოტივი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 7 |
| კოლხეთი1913 | 4 | 2 | 1 | 1 | 3-2 | 7 |
| ტორპედო | 4 | 2 | 1 | 1 | 3-3 | 7 |
| მცხეთა | 4 | 2 | 1 | 1 | 6-12 | 7 |
| თბილისი | 4 | 1 | 1 | 2 | 7-6 | 4 |
| მერცხალი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| სპარტ.ლაზ. | 4 | 0 | 1 | 3 | 0-10 | 1 |
| დინამო (ბთ) | 4 | 0 | 0 | 4 | 2-9 | 0 |

## ვალერი გაზაევი საქართველოს ნაკრებში?



გუშინ, რედაქციაში განუწყვეტლივ რეკავდნენ ფეხბურთის გულშემატკივრები ერთი შეკითხვით: ხომ არ განიხილება საკითხი მოსკოვის ცსკა-ს და რუსეთის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელის ვალერი გაზაევის საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელად მოწვევის თაობაზე?

შეგვიძლია ვუპასუხოთ ფეხბურთის ქართველ ქომაგებს, რომ გაზაევი ეს ესაა გადადგა რუსეთის ნაკრების ხელმძღვანელის პოსტიდან და ჯერ თავად არ გაუკეთებია განცხადება თუ რას აპირებს. მით უმეტეს, რომ რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა ცნობა გაავრცელეს, თითქოს, გაზაევს ბოლომდე გაწირავენ და ცსკა-დანაც დაითხოვენ. ჩამოვა თუ არა გაზაევი საქართველოში ამაზე მსჯელობა ჯერ ნაადრევია.

## პირველი ლიგა, II ტური

მეორე ტური ზუსტად შუაზეა გაყოფილი, თუმცა ერთი მატჩი ამ ტურშიც გადაიდება თბილისის „ამერის" გერმანიაში ყოფნის გამო. ამიტომ, კვირას სამი მატჩი გაიმართება, ორშაბათს კი ოთხი.

**24 აგვისტო, კვირა**

ლოკომოტ. (სამტრედია) — ოლიმპი
გურია — მილანი
ივერია — ჩიხურა
ცხინვალი — ამერი (გადაიდო)

**25 აგვისტო, ორშაბათი**

ვიტ ჯორჯ. (მცხეთა) — სამგურალი
ლუკა — გორდა
ქობულეთი — თსუ
დინამო2 (თბ) — მეტალურგი

I ტურის შემდეგ ასეთი ვითარებაა:

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო2(თბ) | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| ვიტ-ჯორ.(მცხ) | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| ლუკა(ბათუმი) | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| გორდა | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| ქობულეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| ოლიმპი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| სამგურალი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| ცხინვალი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| თსუ | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| მეტალურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| ჩიხურა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| გურია | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| ლოკ.(სამტრ.) | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| მილანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| ივერია | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| ამერი | 0 | 0 | 0 | ? | 0-0 | 0 |

**საქართველოში რასიზმი არ ყოფილა და არც არასოდეს გამოვლინდება!**

# ბასა მაინც სხვა იყო...

ბევრი დაგვიწერია სხვადასხვა ამპ-ლუის ფეხბურთელებზე, მაგრამ გამოჩენილ ქართველ ფეხბურთელზე ავთანდილ ღოღობერიძეზე გახსენებას ვწერდით უმაღლესი დონის საფეხბურთო მატჩების მიმოხილვისას. არადა, ჩვენ მისი მონაწილეობით გვინახავს მრავალი თამაში, ვიყავით რა უშუალო თვითმხილველი მისი მაღალტექნიკური, იმპროვიზირებული და უნივერსალური თამაშისა, გვახსენდება მისი თავდაუზოგავი გარღვევები, მისი მათემატიკური სიზუსტით შესრულებული გადაცემები პარტნიორებისადმი, შურდულივით მფრინავი ბურთის მოთვინიერება, თავზე გაჩერება, მკერდზე ჩამოშვება და შემდეგ ყუმბარისებური დარტყმით ბურთის მოწინააღმდეგის კარისკენ გაგზავნა.

ავთანდილ ღოღობერიძე დაიბადა 1921 წელს ქ. სოხუმში, იქ ისწავლა ფეხბურთი და ჩამოყალიბდა როგორც ოსტატი. ის სრულიად ახალგაზრდა იყო, როდესაც სოხუმის „დინამოში" ჩაირიცხა. აი, როგორი სიყვარულით, პატივისცემით და აღგზნებით გვიყვება ბასას სოხუმის „დინამოში" გამოსვლებზე ნიკიტა სიმონიანი თავის წიგნში — „ფეხბურთი — განა მხოლოდ თამაშია?"... „მაგრამ ყველაზე დიდი სკოლა ჩვენთვის იმ დროს იყო მოზრდილთა გუნდების თამაში. „დინამოს" გუნდში თამაშობდა ჩვენი მწვრთნელი (იგულისხმება შოთა ლომინაძე — გ.ჩ.), იყვნენ შესანიშნავი ოსტატები, რომლებისგანაც საკმაოდ ბევრი რამის შესწავლა და გადმოღება შეიძლებოდა. მე ვუყურებდი ავთანდილ ღოღობერიძეს და ძალზე მინდოდა გადმომეღო მისი ფანდები — გასვლები, ფინტები, მოტყუება, დრიბლინგი. და კიდევ, აქ თამაშობდნენ ანთაძე, ძმები ვარდიმიადები, მეკარე სანაია, ე.ი. გამოჩენილ ფეხბურთელთა პლეადა, რომლებმაც შემდეგ თავი გამოიჩინეს თბილისის „დინამოს" ოსტატთა გუნდში".

ნ. სიმონიანის სიტყვებში გვინდა შენიშვნა-კორექტირება შევიტანოთ, რომ მის მიერ დასახელებულმა ფეხბურთელებმა თავი გამოიჩინეს არა მარტო თბილისის „დინამოში", არამედ მთელ საბჭოთა კავშირში და ევროპაში. აქვე ცნობისათვის დავუმატებთ, რომ ნ. სიმონიანი ავთანდილ ღოღობერიძეზე მხოლოდ ხუთი წლით იყო უმცროსი.

1944 წლიდან ა. ღოღობერიძე თბილისის „დინამოში" ჩაირიცხა. იმავე წლის ოქტომბერში საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად დინამოელები ირანს გაემგზავრნენ.

პირველი შეხვედრა თბილისელებმა ირანის ნაკრების წინააღმდეგ ჩაატარეს, რომლის დროსაც შედგა ა. ღოღობერიძის დებიუტი დიდ ფეხბურთში, თეირანის სტადიონზე დაიწყო თამაში და უკვე მეორე წუთზე მან პირველი ბურთი გაიტანა, სულ მალე მანვე მეორედ შეარხია მასპინძელთა კარის ბადე.

თამაშის მე-15 წუთზე გაიოზ ჯიჯელავამ ბრწყინვალედ დააგვირგვინა პარტნიორთა მიერ გათამაშებული კომბინაცია და ანგარიში 3-0 გახდა ქართველ ფეხბურთელთა სასარგებლოდ. პირველი ტაიმის დამთავრებამდე ბორის პაიჭაძემ ორი ბურთი გაიტანა. ირანელებმა მხოლოდ ერთი საპასუხო ბურთი შეაგდეს თბილისელთა კარში და თამაშის პირველი ნახევარი 5-1 დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში ქართველებმა არ გააწბილეს ირანელები და თავი მეტად არ შეუწუხებიათ, ბურთები აღარ გაუტანიათ და თამაში დამთავრდა იმავე ანგარიშით 5-1 დინამოელთა სასარგებლოდ. პირველი საერთაშორისო თამაშისადმი დიდი იყო ირანელთა ინტერესი. შეხვედრას დაესწრნენ ირანის შაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი



თავისი ამალით და საბჭოთა კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირანში სერგო ქავთარაძე...

ა. ღოღობერიძის დებიუტი საბჭოთა კავშირის პირველობაზე 1945 წელს შედგა. მან ჩემპიონატში გათამაშებული 22 მატჩიდან 21-ში მიიღო მონაწილეობა და მოწინააღმდეგეთა კარში 4 ბურთი გაიტანა.

იმავე წლის დეკემბერში თბილისელები საერთაშორისო შეხვედრების ჩასატარებლად რუმინეთში გაემგზავრნენ. მიუხედავად ზამთრის სუსხიანი და თოვლიანი ამინდისა, თბილისელებმა მაინც შეძლეს ეჩვენებინათ თავიანთი ოსტატობა და მაღალი კლასი, რითაც მოხიბლეს რუმინელი მაყურებლები.

თბილისელებმა რუმინეთში სამი შეხვედრა ჩაატარეს 16, 20 და 26 დეკემბერს. თანმიმდევრულად შეხვდნენ ბუქარესტის „ჩეფერს" და „იუვენტუსს", აგრეთვე ქალაქ ტიმოშიორას ნაკრებს და შესაბამისად გაიმარჯვეს 2-1, 10-5 და 5-0. ამ შეხვედრებში ძლიერად ითამაშა ა. ღოღობერიძემ. საერთოდ, რუმინეთის პრესამ მაღალი შეფასება მისცა დინამოელთა სათამაშო კლასს, ხოლო ბორის პაიჭაძეს „ფეხბურთის კარუზო" შეარქვეს.

1945-1961 წ.წ. ავთანდილ ღოღობერიძემ საბჭოთა კავშირის პირველობაზე 341 მატჩში მიიღო მონაწილეობა და მოწინააღმდეგეთა კარში 127 გოლი გაიტანა. ის ოთხი სეზონის მანძილზე გუნდის ბომბარდირი იყო, ხოლო 1950 წლის სეზონში გატანილი 25 გოლით დღემდე გუნდის რეკორდსმენია. ის, გატანილი ბურთების საერთო რაოდენობით „გრიგორი ფედოტოვის კლუბის წევრია".

თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში 4-ჯერ მოიპოვა ბრინჯაოს და 2-ჯერ ვერცხლის მედლები. 1946 წ. და 1960 წ. ა. ღოღობერიძეს თავის თანაკლუბელებთან ერთად შეეძლო საბჭოთა კავშირის თასის მოპოვება, მაგრამ მსაჯების ნ. ლატიშევის და ა. ცაპოვეცკის „წყალობით" ორივეჯერ დაგვაკარგვინეს ეს შესაძლებლობა, ხოლო, 1953 წლის ჩემპიონატის ბოლოს პირდაპირ და უსირცხვილოდ წაგვართვეს ოქროს მედლები.

1951 წელს მას მიანიჭეს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

ბორის პაიჭაძის შემდეგ, 1952-1961 წ.წ. ავთანდილ ღოღობერიძე თბილისის „დინამოს" აღიარებული კაპიტანი იყო.

გაგვახსენდა 1947 წელი, როცა ა. ღოღობერიძე ცდკა-ს უფროსმა მწვრთნელმა ბორის არკადიევმა თავისთან მიიწვია და ბასამ არმიელთა გუნდთან ერთად რამდენიმე შეხვედრა ჩაატარა ჩეხოსლოვაკიაში.

1952 წელს ოლიმპიურ ნაკრებში მიიწვიეს. მასთან ერთად მიწვეული იყვნენ გოგი ანთაძე, ვლადიმერ მარღანია და ავთანდილ ჭკუასელი.

ოლიმპიური თამაშების პირველ მატჩში ა. ღოღობერიძემ ბულგარეთის ნაკრებთან შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. ეს მატჩი საბჭოთა ნაკრებმა მოიგო ანგარიშით 2-1. ავთანდილ ჭკუასელი გამოიყვანეს ნაკრებში სათამაშოდ იუგოსლავიის ნაკრების წინააღმდეგ. იუგოსლავიელებმა ეს მატჩი ანგარიშით 3-1 მოიგეს. ამ წაგების შემდეგ ნაკრები დაშალეს.

1954 წელს საბჭოთა კავშირში აღადგინეს ნაკრები, რომელსაც პირველი ნაკრები ეწოდა. იმავე წელს ამ გუნდმა მოსკოვში საერთაშორისო მატჩი გამართა შვეიცარიის ნაკრებთან. მატჩი საბჭოთა ფეხბურთელებმა მოიგეს ანგარიშით 7-0. ერთი ბურთი ა. ღოღობერიძემ გაიტანა, რატომღაც ბევრს არ ახსოვს, ამ შეხვედრისას საბჭოთა ნაკრების კაპიტანი რომ ბასა იყო.

ავთანდილ ღოღობერიძეს თავის საფეხბურთო კარიერის მანძილზე მრავალ საერთაშორისო მატჩში აქვს მიღებული მონაწილეობა, მას უთამაშია ირანის, რუმინეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, უნგრეთის, ინდოეთის, საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის და სხვა ქვეყნების გუნდებთან. საერთოდ, ის 50-მდე საერთაშორისო შეხვედრის მონაწილეა.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ქართველ ფეხბურთელთა გამოსვლა საკავშირო სპარტაკიადაზე, რომელიც 1956 წლის 5 აგვისტოს დაიწყო მოსკოვში.

პირველი შეხვედრა საქართველოს ნაკრებმა მოლდაველებს დიდი ანგარიშით მოუგო (4-0). მეოთხედფინალში ჩვენმა ფეხბურთელებმა 4-2 სძლიეს სომხეთის ნაკრებს. ნახევარფინალში ქართველი ფეხბურთელები უკრაინელებს შეხვდნენ და გაიმარჯვეს 3-1.

1956 წლის 16 აგვისტოს გაიმართა სპარტაკიადის ფინალური შეხვედრა საქართველოსა და მოსკოვის ნაკრებებს შორის. ფაქტობრივად, მოსკოვის ნაკრები იგივე საბჭოთა ნაკრები იყო.

ეს დაძაბული და დრამატიზმით სავსე შეხვედრა მოსკოველთა სასარგებლოდ 2-1 დამთავრდა. საქართველოს ნაკრები ამ მატჩში ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: მ. პირაევი, ა. კოტრიკაძე, ნ. ძიაპშიპა, გ. ხოჭოლავა, შ. იამანიძე, ა. ღოღობერიძე, ბ. ხასაია, ქ. გაგნიძე, ზ. კალოევი, ა. ზაზროევი და ა. ჭკუასელი.

ტრავმების გამო არ თამაშობდნენ ვ. მარღანია და ვ. ელოშვილი.

ავთანდილ ღოღობერიძემ სპარტაკიადაზე ყველა მატჩი ითამაშა. როგორც ყოველთვის, ის იყო ყველა თამაშის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი.

საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრებმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა, ხოლო ფეხბურთელები ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდნენ.

1961 წელს ა. ღოღობერიძემ საკავშირო ჩემპიონატის მხოლოდ სამ მატჩში ითამაშა. ის ორმოც წელს იყო მიღწეული, როდესაც ფეხბურთის თამაშს თავი დაანება. ასეთი ასაკობრივი ხანგრძლივობითაც ის რეკორდსმენია არა მარტო ქართული ფეხბურთის, არამედ საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში.

იყო რა ბრწყინვალე ფეხბურთელი და გუნდის მტკიცე კაპიტანი, საფეხბურთო მინდორზე გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით, ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის იყო დამრიგებელი, და, რაც მთავარია, უნერგავდა გამარჯვებისადმი რწმენას და სწრაფვას.

1961 წელს, როგორც კი დაანება თავი ფეხბურთის თამაშს, ა. ღოღობერიძე თბილისის „დინამოს" უფროს მწვრთნელად დანიშნეს. ამ პოსტზე ის 1962 წლის ივნისიდან მიხეილ იაკუშინმა შეცვალა. 1963-1964-1965 წ.წ. ა. ღოღობერიძე თბილისის „დინამოს" გუნდის უფროსი იყო.

ამ ლეგენდარულმა ფეხბურთელმა ნათელი და განუმეორებელი კვალი დატოვა ქართული ფეხბურთის ისტორიაში.

**გურამ ჩხიკვაძე**

## ნომრიდან — ნომრამდე...

● **ინგლისის „მანჩესტერ სიტის"** ადმინისტრაციამ ერთ-ერთ მატჩზე მეტოქე გუნდისთვის გამოყოფილი 3 ათასი ბილეთიდან მხოლოდ 1305 გაიტანა გასაყიდად, რის გამო ქვეყნის პრემიერლიგის ხელმძღვანელობამ კლუბი 25 ათასი გირვანქა სტერლინგით დააჯარიმა. ამასთან, კლუბს დაევალა მომდევნო ტურში სტუმრებისთვის ათჯერ მეტი (30 ათასი) ბილეთის გამოყოფა, თანაც 50 პროცენტის შეღავათით.

● **ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის რუსეთის ნაკრების მორიგ მატჩს, როგორც ცნობილი გახდა, იმსაჯებს ორი ცნობილი მსაჯი სლოვაკი ლიუბოშ მიხელი და იტალიელი პიერლუიჯი კოლინა.**

● **ინტერნეტით გავრცელდა** ცნობა, რომ ნოვი-სადში სერბეთსა და უელსის ახალგაზრდული ნაკრებების შესარჩევ მატჩში მასპინძელთა გულშემატკივრებს სტუმართა გოლკიპერი შავკანიანი ბრაუნი რასისტული შეძახილებით აუკლიათ. მატჩს სჯიდა ქართველთა ბრიგადა. მთავარმა არბიტრმა ლევან ფანიაშვილმა განმარტა, რომ შეხვედრამ კორექტულად ჩაიარა, არაა სწორი თითქოს ბრაუნი გაელანძღოთ. ახლა მთავარი სიტყვა უეფას ეკუთვნის.

# ისინი უდროოდ დაიღუპნენ

ბედისწერამ მათ სახელოვანი ფეხბურთელობა და მსაჯობა უბოძა. მათ თავიანთი ცხოვრება სახელითა და დიდებით განვლეს. (ზოგს გასავლელი ჰქონდა). მაყურებელი მათ საფეხბურთო ხელოვნებას მქუხარე ტაშითა და ოვაციით ხვდებოდა. ბედისწერამ ისინი უდროოდ აღსასრულითაც დასაჯა. ისინი სხვადასხვა დროს ტრაგიკულად დაიღუპნენ. ზოგიერთმა მათგანმა ვერ შეძლო თავისი საფეხბურთო ოსტატობა ბოლომდე გამოემჟღავნებინა... ზოგიც ვალმოხდილი, მაგრამ, მაინც ნაადრევად დაიღუპა.

ქვემოთ წარმოგიდგენთ ტრაგიკულად გარდაცვლილ ფეხბურთელებს, მსაჯებს...

— **აბელ ბასო** (1932-1972). არგენტინელი მსაჯი. ტრაგიკულად დაიღუპა არგენტინის ქალაქ კორდობაში, ერთ-ერთი საფეხბურთო მატჩის მიმდინარეობის დროს. „სპორტივო რურალის" ერთ-ერთი მოთამაშე არ დაეთანხმა მსაჯის გადაწყვეტილებას, დაუწყო მუშტებით ცემა, შემდეგ ფეხქვეშ მოიგდო და სასიკვდილო მდგომარეობამდე მიიყვანა.

— **ლუის ზუნგინა** (1951-1977) — კოლუმბიის გუნდის „სანტა როსა დე კაბალის" მარცხენა გარემარბი. კოლუმბიის მეორე დივიზიონის ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში 26 წლის ზუნგინა აშკარად უხეშად მოქმედებდა მოწინააღმდეგეების მიმართ. ერთ მათგანს ნერვებმა უმტყუნა და სასიკვდილო დარტყმით მინდორზე მოკლა მარცხენა გარემარბი.

— **ვლადიმერ მარღანია** (1928-1958). თბილისის „დინამოს" მეკარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი. 30 წლისა ავტოკატასროფაში დაიღუპა თბილისში. საკუთარი „პობედით" იგი ტრამვაის შეასკდა. მანქანაში ისხდნენ აგრეთვე ანატოლი ნორაკიძე და თენგიზ კუბლაშვილი. ისინი გადარჩნენ.

— **ვალერი ვორონინი** (1939-1984). მოსკოვის „ტორპედოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი. სპორტის დამსახურებული ოსტატი. ჯერ კიდევ 60-იანი წლების ბოლოს ის თავისი „ვოლგით" ავტოამწეს შეეჯახა. ექიმებმა მაშინ შეუძლებელი შეძლეს — ვ. ვორონინს სიცოცხლე შეუნარჩუნეს. მეორედ, ექიმები უძლურნი აღმოჩნდნენ. მოსკოვის ერთ-ერთი ლუდის ბარის მიდამოებში მას თავში რაღაც ჩაარტყეს. ვალერიმ ხოხვით მიაღწია ვარშავის გზატკეცილამდე, საიდანაც ის „სასწრაფომ" საავადმყოფოში წაიყვანა. უდიდესი ფეხბურთელი საოპერაციო მაგიდაზე გარდაიცვალა.

— **ანდრეს ესკობარი** (1967-1994) კოლუმბიის „ატლეტიკო ნასიონალისა" და კოლუმბიის ნაკრების წევრი. — მოკლეს თორმეტი გასროლით, ქ. მედელინში, ღამის კლუბიდან გამოსვლის დროს. სიკვდილის მიზეზი გახდა ის ავტოგოლი, რომელიც ამ ფეხბურთელმა მსოფლიო ჩემპიონატზე აშშ-ს ნაკრებთან, საკუთარ კარში ჩაჭრა 1994 წელს. ეს იყო ერთადერთი საკუთარ კარში გატანილი გოლი, რომელიც კოლუმბიელებისათვის ტრაგიკული აღმოჩნდა.

— **შოთა იამანიძე** (1937-1971). თბილისის „დინამოს" ნახევარმცველი. გუნდის კაპიტანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი. დაიღუპა საავტომობილო კატასტროფაში. შეასკდა კიუვეტს, გზის შეკეთების დროს.

— **ვიტალი დარასელია** (1957-1982). თბილისის „დინამოს" და საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი; სპორტის დამსახურებული ოსტატი. 25 წლის ვიტალი დარასელიას „ვოლგა" სოფელ უბისასთან მკვეთრ მოსახვევში მდინარე ძირულაში გადავარდა. გარდაცვლილის გვამი ერთი კვირის შემდეგ ნახეს შემთხვევის ადგილიდან ექვსი კილომეტრის მოშორებით.

— **ალექსანდრე გრიგორიევი** (1943-1971). მოსკოვის გუნდების „ლოკომოტივისა" და „სპარტაკის" წევრი (სხვადასხვა დროს). დილაადრიან, თავისი მანქანით „შერემეტიევო-2"-ის აეროპორტში გაემგზავრა საზღვარგარეთიდან მომავალი ცოლის დასახვედრად. ეზოდან ქუჩაში გამოსვლისას სატვირთო მანქანას შეეჯახა. იგი, „სასწრაფოში", საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

— **თეიმურაზ სტეფანია** (1950-1972). თბილისის „დინამოს" მეკარე. 22 წლის თბილისელთა გოლკიპერი საკუთარი მანქანით სატელეფონო ბოძს შეასკდა ქ. გორში და ადგილზევე გარდაიცვალა.

— **გიორგი ასპარუხოვი** (1943-1971), **ნიკოლაი კოტკოვი** (1938-1971). ბულგარეთის ნაკრების თავდამსხმელები. 28 წლის ასპარუხოვი და 33 წლის კოტკოვი დაიღუპნენ საავტომობილო კატასტროფაში სოფიიდან 50 კმ-ის მოშორებით. ისინი ქალაქ ვრაცაში მიდიოდნენ, სადაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ბულგარეთის ნაკრებისა და ადგილობრივ „ბოტევის" მატჩში.

— **ლიუდო კოეკი** (1955-1985). ბრიუსელის „ანდერლეხტისა" და ბელგიის ნაკრების ნახევარმცველი. დაიღუპა საავტომობილო კატასტროფაში 30 წლის ასაკში.

— **კაზიმეჟ დეინა** (1947-1989). პოლონეთის ნაკრების ნახევარმცველი. თავისი შესანიშნავი საფეხბურთო კარიერა მან ამერიკის შეერთებულ შტატებში დაამთავრა. გამოდიოდა „სან-დიეგოს" გუნდში. ამ ქალაქში დაიღუპა საავტომობილო კატასტროფაში.

— **მიხეილ ერიომინი.** (1968-1991) ცსკა-სა და საბჭოთა კავშირის ნაკრების მეკარე. არმიელების მიერ ქვეყნის თასის მოპოვების მეორე დღეს, 23 წლის მ. ერიომინი ახლობლებთან ერთად ზელინოგრადიდან (ამ ქალაქში ცხოვრობდა) მოსკოვში მანქანით მიემგზავრებოდა. გადასწრების დროს მოხდა ავარია. მათი მანქანა ავტობუსს შეეჯახა. მ. ერიომინი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

— **გაეტანო შირეა** (1953-1989). ტურინის „იუვენტუსისა" და იტალიის ნაკრების ცენტრალური მცველი. ერთადერთი ფეხბურთელი (იმ პერიოდისათვის), რომელმაც გამარჯვება იზეიმა ყველა საკლუბო საფეხბურთო ტურნირში (ჩემპიონთა თასი, თასის მფლობელთა თასი, უეფას თასი). ავტოკატასტროფის დროს ის „იუვენტუსის" მეორე მწვრთნელად მუშაობდა. ამ როლში ჩავიდა ის პოლონეთში მომავალი მეტოქის მატჩის სანახავად. ვარშავისაკენ მიმავალი გ. შირეას „ფიატი" შეეჯახა საპირისპიროდ მომავალ „ჟუკს", ხოლო „ფიატს" უკნიდან მცირე გაბარიტიანმა მანქანამ დაარტყა. „ფიატში" იდო ბენზინით სავსე რამდენიმე „კანისტრა". მოხდა აფეთქება. ცეცხლის ალისაგან დაიწვნენ გ. შირეა, პოლონელი თარჯიმანი და მძღოლი. მეოთხე მგზავრი მძიმედ დაშავდა. შეჯახების მომენტში ის მანქანიდან გამოვარდა, რამაც მას სიცოცხლე შეუნარჩუნა.

— **ნიკოლოზ კუდრიცკი** (1962-1994). დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" ნახევარმცველი. საფეხბურთო კარიერა მან ისრაელში დაამთავრა, სადაც ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად უკრაინის ნაკრები ჩავიდა. თანამემამულეებთან შესახვედრად მიმავალი ნ. კუდრიცკი შემხვედრ მანქანას შეეჯახა. 32 წლის ფეხბურთელი ადგილზე გარდაიცვალა.

— **ერიკ იონგბლადი** (1963-1984). გამოჩენილი პოლონელი მეკარის იან იონგბლადის ვაჟს, 21 წლის ერიკს ამსტერდამში საფეხბურთო მატჩის დროს მეხი დაეცა. იგი ჰოსპიტალში გარდაიცვალა.

— **ალდო პიჩონი** (1963-1987). იტალიის გუნდის „ოფიდას" მეკარე. იტალიის ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის დროს დაიწყო ჭექა-ქუხილი. მსაჯმა თამაში შეწყვიტა. ამ დროს მეხი დაეცა „ოფიდის" 24 წლის მეკარეს. იგი ადგილზე გარდაიცვალა.

— **ჟოზე გამარაიშ დირსეუ** (1952-1995). ბრაზილიის ნაკრების ნახევარმცველი. 43 წლის დირსეუ გარდაიცვალა ავარიის ადგილზე, როდესაც მისი მანქანა სხვა მანქანას შეეჯახა.

— **ხამიდულა რახმატულაევი** (1942-1978). ტაშკენტის „პახტაკორის" თავდამსხმელი და გუნდის კაპიტანი. ბოლო წლებში — გუნდის უფროსი. ერთ-ერთი მატჩის დაწყებამდე, იგი სასტუმროში მსაჯებთან მიეშურებოდა. გუნდის მიკროავტობუსი, ქალაქის ცენტრში ავტომობილს შეეჯახა. რახმატულაევი წინა კარებთან იჯდა. იგი ადგილზე გარდაიცვალა.

— **ანატოლი კოჟემიაკინი** (1953-1974). მოსკოვის „დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი. იმ, მისთვის, საბედისწერო დღეს, ანატოლი კოჟემიაკინი ახლობელთან ერთად ლიფტში შევიდა, რომ ძირს დაშვებულიყო. ლიფტი სართულებს შორის გაიჭედა. ძველი კონსტრუქციის ლიფტი იყო. კარი მხოლოდ ხელით, სახელურების მეშვეობით ილებოდა. ყველა ღილაკზე დააჭირეს ხელი, მაგრამ ლიფტი ადგილიდან არ იძვროდა. ორთავემ თვითნებურად გამოსვლა გადაწყვიტა. ა. კოჟემიაკინის ახლობელი როგორც იყო გამოძვრა. როცა იგივე ანატოლი კოჟემიაკინმა მოინდომა, ლიფტი დაიძრა... იგი მხოლოდ 21 წლის იყო.

**„მირ სპორტა"-ს და „ფუტბოლი"-ს მიხედვით მოამზადა ნუგზარ მჭედლიშვილმა.**

რედაქციისაგან: წერილში არაა ნახსენები ამას წინათ კამერუნელი ფეხბურთელის ვივიან ფოეს ტრაგიკული აღსასრული და ტაშკენტის „ფახთაქორის" ავიაკატასტროფაში დაღუპვის ფაქტი.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ვალერი გაზაევი გადადგა

***ოთხშაბათს ევროპაში ამხანაგური საფეხბურთო მატჩების დღე იყო. ქართველი გულშემატკივრების ყურადღება ცხადია, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრების მეტოქეების მონაწილეობით გამართული თამაშებისკენ იყო მიპყრობილი.***

რუსეთის ნაკრები მოსკოვში მასპინძლობდა ისრაელის ნაკრებს. მანამდე, ვალერი გაზაევს უკვე შერყეული იმიჯი ჰქონდა თბილისში და ტირანაში განცდილი მარცხის გამო. მას ახლა გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდა, რათა დაკარგული პრესტიჟი აღედგინა და მომავალ შესარჩევ მატჩს გამოკეთებული ფსიქოლოგიური განწყობით შეხვედროდა. სპეციალისტთა უმრავლესობის აზრით უპირატესობა რუსეთის ნაკრებს ენიჭებოდა...


გაზაევი

ოთხშაბათის მატჩში მოვლენები სრულიად მოულოდნელი სცენარით წარიმართა. რუსმა ფეხბურთელებმა უსუსურად ითამაშეს, ისრაელის ნაკრები შეთანხმებულად, ორგანიზებულად თამაშობდა. მართალია, პირველ ტაიმში რუსებს უფრო მეტი საგოლე მომენტი ჰქონდათ, მაგრამ მათ უპირატესობის რეალიზება ვერ მოახერხეს.

მეორე ტაიმში კი მოსახდენი მოხდა. ისრაელის ნაკრების ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს, 51-ე წუთზე რუსმა მცველებმა შეცდომა დაუშვეს და ნიმნიმ ანგარიში გახსნა. მასპინძლებმა სიტუაციის გამოსწორება სცადეს, მთელი გუნდით შეტევაზე გადავიდნენ... თუმცა გოლი, ისევ საკუთარ კარში მიიღეს. 82-ე წუთზე ბალილმ მეორედ აიღო ოვჩინიკოვის კარი. დარჩენილ დროში რუსებმა მხოლოდ ერთი საპასუხო გოლი გაიტანეს (სემაკი) და სტადიონი დამარცხებულებმა (1-2), გაწბილებული გულშემატკივრების გამაყრუებელი სტვენის თანხლებით დატოვეს.

ამის შემდეგ ვალერი გაზაევმა პოსტიდან გადადგომა გადაწყვიტა. „მატჩის შემდეგ მე ვესაუბრე გუნდის წევრებს. ვუთხარი, რომ ყველაზე საშინელი — საკუთარი თავისადმი უპატივცემულობაა. ჩვენ ძალიან უსუსურად ვითამაშეთ, რაშია მწვრთნელი დამნაშავე?... მე მახსოვს სიმონიანი, ნეტო, ილინი, ივანოვი და სხვა ვარსკვლავები — მათ ხომ მწვრთნელიც არ სჭირდებოდათ მინდორზე“...

მატჩის შემდეგ რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა დააკმაყოფილა ვალერი გაზაევის თხოვნა ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადადგომის შესახებ.

კოლოსკოვის თქმით, ახალი მწვრთნელის ვინაობა ცნობილი გახდება სამშაბათს ან ოთხშაბათს. და ბოლოს, გაგაცნობთ 20 აგვისტოს მატჩში მონაწილე გუნდების შემადგენლობებს:

**რუსეთი:** ოვჩინიკოვი, ა. ბერეზუცკი (კოვტუნი, 46). ვ. ბერეზუცკი, ალდონინი, ვასილიევი (გუსევი, 26), იგნაშევიჩი, ბისტროვი, სიჩევი (პავლიუჩენკო, 46), კარიაკა, ლოსკოვი (ხოხლოვი, 46), კერჟაკოვი.

**ისრაელი:** ელიმელეხი, ხარაზი, ბენ ხაიმა, ბენადო, ბადირი (ტალი, 67), კეიფი, რერივო (ზარფატი, 71), ნიმნი (ზანდბერგი, 71), აბუკსისი (ალბერმანი, 67), უზანი, ბენაიუნი (ბალილი, 71.


რუსეთი - ისრაელი

**ირლანდიის** ნაკრებმა ავსტრალიის გუნდს უმასპინძლა და დაამარცხა მეტოქე ანგარიშით 2-1. ამ მატჩში დაშავდა რობი კინი, რომელიც მომდევნო მატჩებს გამოტოვებს.

**შვეიცარიის** ნაკრები 0-2 დამარცხდა საფრანგეთის გუნდთან. მასპინძელთა კარში გოლები გაიტანეს ვილტორმა და მარლემ.

გუნდების შემადგენლობა:

**შვეიცარია:** შტილი (ცუბერ ბულერი, 40), მაიერი, მ. იაკინი (ცვისიგი, 46), ანშო, ბერნერი. ჩელესტინი (ჰეგელი, 78), მიულერი (ვიკი. 78), ფოგელი (კანტალუპი, 86), კაბანიასი, ფრაი, შაპუიზა (რამა, 46).

**საფრანგეთი:** ბარტეზი, ტიურამი (სანიოლი, 62), დესაი (ბუმსონგი, 78), სილვესტრი, ლიზარაზუ, ვილტორი (ჯ. სისე), ვიეირა (ჰედრეტი, 46), დაკური (დამო, 83), ზიდანი (ჟიული, 69), ტრეზეგე (პირესი, 63), ანრი (მარლე, 46).

**ალბანეთის** ნაკრებმა, რომელთანაც ჩვენს გუნდს ორი შეხვედრა ელის, მარცხი იწვნია სტუმრად მაკედონიის გუნდთან — 1-3.

ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს მეცხრე წუთზე (თავი გამოიჩინა ნაუმოვსკიმ), 36-ე წუთზე პანდევმა მეორე გოლიც გაიტანა ალბანელთა კარში. შესვენების შემდეგ, 74-ე წუთზე სკალამ ერთი გოლი გაქვითა, მაგრამ სამ წუთში დიმიტროვსკიმ მატჩის ფრედ დამთავრების იმედი გადაუწურა სტუმრებს — 3-1.

გაგაცნობთ დანარჩენი ამხანაგური მატჩების შედეგებს.

იაპონია — ნიგერია 3-0, ჩინეთი — ჩილე 0-0, სლოვენია — უნგრეთი 2-1, უკრაინა — რუმინეთი 0-2, ბელარუსი — ირანი 2-1, ლატვია — უზბეკეთი 0-3, თურქეთი — მოლდოვა 2-0, ლიხტენშტეინი — სან მარინო 2-2, დანია — ფინეთი 1-1, ესტონეთი — პოლონეთი 1-2, ბულგარეთი — ლიტვა 3-0, ნორვეგია — შოტლანდია 0-0, ბელგია — ჰოლანდია 1-1, შვედეთი — საბერძნეთი 1-2, ავსტრია კოსტა-რიკა 2-0, ინგლისი — ხორვატია 3-1, არგენტინა — ურუგვაი 3-2, გერმანია — იტალია 0-1, პორტუგალია — ყაზახეთი 1-0.


გერმანია - იტალია

**გაიმართა ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის** შესარჩევი ეტაპის ორი მატჩი. **მეხუთე ჯგუფში** ისლანდიის ნაკრებმა სტუმრად 2-1 დაამარცხა ფარერის კუნძულების გუნდი და ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისლანდია | 6 | 4 | 0 | 2 | 11-6 | 12 |
| გერმანია | 5 | 3 | 2 | 0 | 8-3 | 11 |
| შოტლანდია | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| ლიტვა | 6 | 2 | 1 | 3 | 4-9 | 7 |
| ფარერები | 6 | 0 | 1 | 5 | 5-12 | 1 |

**მეცხრე ჯგუფში** სერბეთისა და ჩერნოგორიის ნაკრებმა მლადენოვიჩის ერთადერთი გოლის წყალობით დაამარცხა ჯგუფის ლიდერი უელსის ნაკრები, რომელსაც აქტივში მანამდე წაგება არ ჰქონია.

მეცხრე ჯგუფში სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 5 | 4 | 0 | 1 | 10-2 | 12 |
| იტალია | 5 | 3 | 1 | 1 | 8-3 | 10 |
| სერბეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-8 | 8 |
| ფინეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 6-8 | 6 |
| აზერბაიჯანი | 6 | 1 | 1 | 4 | 4-14 | 4 |

## „ბატიგოლი“ კარიერას კატარში დაასრულებს

გასული საუკუნის 90-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი ფორვარდი, არგენტინული ფეხბურთის ვარსკვლავი გაბრიელ ბატისტუტა თავის ბრწყინვალე კარიერას კატარში დაასრულებს. ეს გაირკვა მას შემდეგ, რაც ამ ფეხბურთელმა ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი კატარის საფეხბურთო კლუბ „ალ-არაბისთან“.



კონტრაქტის პირობების მიხედვით, ორი წლის განმავლობაში ბატისტუტა 8 მილიონ დოლარს მიიღებს, — ეს არცთუ მცირე თანხაა. ისიც უნდა ითქვას, რომ მისი მოვალეობა მხოლოდ გოლების გატანით არ შემოიფარგლება. ბატისტუტას ევალება ადგილობრივი ფეხბურთელების მომზადებაც, ასე რომ, „ბატიგოლი“ მოთამაშე მწვრთნელი ხდება.

„ჩემი აზრით, კატარში თამაში ძალიან საინტერესოა. შევეცდები, ახალი გუნდის შემადგენლობაში, რაც შეიძლება, ბევრი გოლი გავიტანო, — განაცხადა არგენტინელმა ვარსკვლავმა ჟურნალისტებთან საუბარში, — ძალიან მინდოდა, კარიერა ჩემს სამშობლოში დამესრულებინა, მაგრამ ეს შესაძლებლობა არ მომეცა“.

როგორც ჩანს, გაბრიელს გული სტკივა, რომ ის არგენტინულმა კლუბებმა არ მოიწვიეს. არადა, „ბატისტუტა“ ცნობილი იყო, როგორც ნამდვილი პატრიოტი ფეხბურთელი. მას რამდენიმე მწვრთნელის ხელმძღვანელობით უთამაშია, და ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ ბატისტუტას არასოდეს არ უთქვამს უარი არგენტინის ნაკრების ღირსების დაცვაზე. ის კი არა, როცა შარიანმა დანიელ პასარელამ დაიჟინა, ბატიგოლი უსიტყვოდ წავიდა საპარიკმახეროში თავისი „სახელგანთქმული“ გრძელი თმების შესაჭრელად.

ასეა თუ ისე, 34 წლის ბატისტუტა თავის კარიერას კატარში დაასრულებს. აკი თვითონაც განაცხადა: „ფეხბურთის თამაშს რომ მოვრჩები, მერე სამშობლოში დავბრუნდები, ფერმას ვიყიდი, ვიმუშავებ და ჩემს შვილებსაც ნამდვილ არგენტინელებად გავზრდიო.“ უნდა ითქვას, რომ გაბრიელს კიდევ სხვა ვარიანტი აქვს „ფეხბურთის შემდგომ ცხოვრებაში“, მას საფეხბურთო კლუბ „ფიორენტინაში“ სთავაზობენ თანამდებობას.

თუ რომელ ვარიანტს აირჩევს გაბრიელ ბატისტუტა, ამას დრო გვიჩვენებს.

## ჩივაძე და შენგელია კვლავ საბჭოთა კავშირის ნაკრების მაისურს მოირგებენ





27 აგვისტოს მოსკოვში, „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება მოსკოვის „სპარტაკის“ ყოფილი ფეხბურთელის იური გავრილოვის 50 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საფეხბურთო მატჩი „სპარტაკსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრებს შორის.

ცოტა რამ გავრილოვის საფეხბურთო ისტორიიდან: მან 8 სეზონი ითამაშა „სპარტაკის“ შემადგენლობაში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის 318 მატჩში იასპარეზა და 91 გოლი გაიტანა. 1979 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. ხუთჯერ მოიპოვა ვერცხლის მედალი (1980, 1981, 1982, 1984, 1985 წწ). 1975 და 1983 წლებში ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. იყო საბჭოთა კავშირის თასის 1985 წლის გათამაშების ფინალისტი. 1983 წელს იური გავრილოვი საბჭოთა კავშირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა 18 გატანილი გოლით.

საბჭოთა ნაკრების ღირსება იურიმ 37-ჯერ დაიცვა და ათი გოლი გაიტანა. 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებში ბრინჯაოს მედალოსანი გახდა, არის ფეხბურთში მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატის მონაწილეც.

დავუბრუნდეთ 27 აგვისტოს საფეხბურთო შოუს. ცნობილი გახდა, რომ „სპარტაკის“ ვეტერანთა გუნდს კონსტანტინ ბესკოვი უხელმძღვანელებს, ხოლო საბჭოთა კავშირის ნაკრებს — ნიკიტა სიმონიანი.

საბჭოთა ნაკრებში გამოძახებულნი არიან ოლეგ ბლოხინი, იგორ ბელანოვი, ლეონიდ ბურიაკი, ალექსანდრე ჩივაძე, რამაზ შენგელია, ხორენ ოგანესიანი და სხვები.

## ზიდანი და ბექჰემი უკმაყოფილონი არიან კეიროშის მეთოდებით



**მადრიდის „რეალის“ ორმა ვარსკვლავმა ზინედინ ზიდანმა და დევიდ ბექჰემმა უკმაყოფილება გამოთქვეს კეიროშის ზოგიერთი მეთოდის გამო. მაგალითად, მათ მიაჩნიათ, რომ არ უნდა ყოფილიყო მოწყობილი „რეალისათვის“ აზიური ტურნე.**

**„გუნდი ვერ ვარჯიშობდა სრულყოფილად. ყოველი თამაშის შემდეგ დასაძინებლად ადრე უნდა დავწოლილიყავით, რადგან მეორე დღეს თვითმფრინავით მგზავრობა გველოდა“, — ამბობს ზიდანი. ბექჰემმაც კი, აი, რა განაცხადა: „გუნდი არ ვარჯიშობდა ისე, როგორც ეს ჩვეულებრივ, სეზონებს შორის ხდება ხოლმე“.**

## იტალიის ჩემპიონატი დათქმულ დროს დაიწყება

როგორც იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ განაცხადა, სერია „ა“-ს ახალი საფეხბურთო სეზონი დაიწყება დათქმულ დროს. უფრო ზუსტად — 31 აგვისტოს. გალიანის (ეს პიროვნება, როგორც იცით, საფეხბურთო კლუბ „მილანი“-ს ვიცე-პრეზიდენტია) თქმით, ჩემპიონატის დაწყების გადავადება შეიძლება გამოიწვიოს სერია „ა“-ს ზოგიერთი გუნდის ფინანსურმა პრობლემებმა.

ეს შეეხება „რომასაც“, რომელსაც ჯერჯერობით ვერ მოუგვარებია ფინანსური მდგომარეობა.

შეგახსენებთ, რომ შარშან, იტალიის საფეხბურთო სეზონი გვიან დაიწყო, რადგან არსებობდა პრობლემა ტელეკომპანიებთან.

## სოდერბერგი შვედეთის ნაკრებიდან ევრო-2004-ის შემდეგ წავა

**შვედეთის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ტომი სოდერბერგმა განაცხადა, რომ ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დატოვებს თავის თანამდებობას. „ვიმედოვნებ, რომ პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატზე ჩემი ოცნება ახდება. მინდა, რომ პოსტიდან მშვიდად წავიდე“, — განაცხადა სოდერბერგმა.**

**შეგახსენებთ, რომ ტომი სოდერბერგი შვედეთის ნაკრებს 1997 წელს ჩაუდგა სათავეში. ახლა ამ მოვალეობას ლარს ლეგერბაკთან ერთად ასრულებს.**

## ულიე პოსტიდან გადადგომასთან ახლოსაა

ინგლისის ყველაზე ტიტულოვანი კლუბის „ლივერპულის“ ხელმძღვანელობა აშკარად უკმაყოფილოა მთავარი მწვრთნელის, ფრანგი სპეციალისტის ჟერარ ულიეს მოღვაწეობით. „ლივერპულის“ აქციონერებს არ მოსწონთ გუნდის არც შარშანდელი შედეგები და არც პრემიერლიგის წლევანდელი გათამაშების პირველივე მატჩში „ჩელსისთან“ დამარცხება. არ არის გამორიცხული, რომ მომდევნო წარუმატებლობის შემთხვევაში ულიე თანამდებობიდან გადააყენონ. პრესაში უკვე გაჩნდა ინფორმაციები ულიეს შესაძლო მემკვიდრეების შესახებ. ასეთად მოიაზრებენ გუნდის 70-იანი წლების სახელგანთქმულ ფორვარდს ჯონ ტოშაკს, რომელიც ამჟამად უმუშევარია. წინა წლებში ტოშაკი მუშაობდა მადრიდის „რეალთან“ და სან-სებასტინის „რეალ სოსიედადთან“... ტოშაკი უკვე ესაუბრა „ლივერპულის“ ხელმძღვანელობას და გამოთქვა სურვილი, უხელმძღვანელოს ამ გუნდს.

## პელე საკუთარ კლუბს ქმნის



**„ფეხბურთის მეფემ“ პელემ ოფიციალურად განაცხადა ბრაზილიის ქალაქ სანტოსში საკუთარი კლუბის შექმნის შესახებ. ახალი გუნდი იასპარეზებს სან-პაულუს შტატისა და ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ბავშვთა და იუნიორთა შეჯიბრებებში.**

**საინტერესოა, რომ სანტოსში უკვე ფუნქციონირებს საფეხბურთო სკოლა, სადაც 6-დან 20 წლამდე ბრაზილიის მომავალი ფეხბურთელები ვარჯიშობენ. გაჭირვებული ოჯახის ბავშვები გადასახადისაგან გათავისუფლებულნი არიან.**

# «ეფეს პილსენის» თასზე

სტამბული მასპინძლობს საკალათბურთო ტურნირს — „ეფეს პილსენის“ თასის გათამაშებას, რომელშიც მონაწილე გუნდები პრაქტიკულად გენერალურ რეპეტიციას გადიან 2004 წლის ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ეტაპის წინ.

ექვსი გუნდი ორ ჯგუფში შემდეგნაირად განაწილდა — **„ა“ ჯგუფი:** თურქეთი, რუსეთი და ლატვია. **„ბ“ ჯგუფი:** სერბია-ჩერნოგორია, იტალია და ახალი ზელანდია.

ჯგუფური ტურნირი დღეს დასრულდება, ხვალ შედგება ნახევარფინალური მატჩები, ხოლო ფინალი გაიმართება 24 აგვისტოს.

# სანდერს — ბრიუსტერის ორთაბრძოლა ოქტომბერში შედგება

**პროფესიულ კრივში ვბო-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონ სუპერმძიმე წონაში კორი სანდერსსა და პრეტენდენტ ლემონ ბრიუსტერს შორის ბრძოლა მიმდინარე წლის 18 ოქტომბერსაა დანიშნული. ამის შესახებ ოფიციალურად განაცხადა კომპანია „იუნივერსუმ ბოქს პრომოუშენმა,“ რომელსაც ვბო-ს ვერსიით ბრძოლის ჩატარების უფლება აქვს.**

**ჯერჯერობით, დაუდგენელია ორთაბრძოლის გამართვის ადგილი. არსებობს ორი ვარიანტი. ჰამბურგი, ანდა, სამხრეთ აფრიკის რომელიმე ქალაქი.**




# კონორსი და ევერტი — ჩემპიონთა დარბაზში

აშშ-ს ჩემპიონთა დარბაზს მალე ორი ახალი წევრი ეყოლება: ესენი იქნებიან ჩოგბურთის ვარსკვლავები ჯიმი კონორსი და კრის ევერტი.

კონორსს ხუთჯერ აქვს მოგებული აშშ-ს ღია პირველობა, ევერტს — 6 -ჯერ. ორივე ჩოგბურთელი შარშან დიდების დარბაზშიც შეიყვანეს.

კონორსი ახლა ბიზნესს მისდევს, თუმცა თავისუფალ დროს ჩოგბურთს თამაშობს და აქვს სურვილი იასპარეზოს ვეტერანთა ტურნირებში.

# „მონრეალის“ მომავალი საფრთხეშია

**ნჰლ-ის „მონრეალი“ მძიმე ფინანსურ კრიზისში იმყოფება, კლუბის პრეზიდენტის პიერ ბუავენის განცხადებით, თუ უახლოეს მომავალში სიტუაცია არ გამოსწორდა, ადვილი შესაძლებელია, რომ ნჰლ-ის ერთ-ერთმა ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა არსებობა შეწყვიტოს.**

**„გადასახადები წელში გვწყვიტავს. მართალია, გვაქვს კარგი შემოსავალი, ჩვენი დიდი არენა ყოველთვის 92 პროცენტით არის სავსე. იზრდება მატჩების დასასწრები ბილეთების ფასიც, მაგრამ გადასახადებიც დიდია და მათ გადახდას ვერ ავუდივართ“. — ამბობს პიერ ბუავენი.**

**კლუბის პრეზიდენტი გამოსავალს ხედავს ან გადასახადების შემცირებაში, ანდა, მოთამაშეთა ხელფასების შეკვეცაში.**

# აბრამოვიჩი „მინარდის“ „ფერარიზე“ ძლიერს გახდის?

**მას შემდეგ, რაც რუსმა ბიზნესმენმა რომან აბრამოვიჩმა დიდძალი ფული დააბანდა „ჩელსიში“ და ამ გუნდის გამოსვლით ინგლისის პრემიერლიგის სასტარტო მატჩით კმაყოფილი დარჩა, ახლა, პარალელურად, „ფორმულა-1“ — საც დაადგა თვალი. თურმე აბრამოვიჩს განუზრახავს, შეიძინოს „ფორმულა-1“ — ის ერთ-ერთი სუსტი გუნდი „მინარდი“, დააბანდოს მასში ფული და უფრო ძლიერი გახადოს. ამის შესახებ „მინარდის“ მფლობელები, ჯერჯერობით არანაირ კომენტარს არ აკეთებენ.**



**გერმანიის „გრან-პრის“ დროს, აბრამოვიჩი ესტუმრა „მინარდის“ ხელმძღვანელობას. ის კი არა, როცა იგი „მინარდის“ ბოქსში იმყოფებოდა პილოტ იოს ვერსტაპენთან ერთად, ჟურნალისტებმა ფოტოსურათებიც გადაუღეს. მეორე დღეს, „მინარდის“ წარმომადგენელმა გრემ ჯონსმა თქვა, რომ აბრამოვიჩი ბერნი ექსტოუნს სტუმრობდა. ცხადია, იგი ცდილობდა ჟურნალისტებისათვის თავგზა აებნია... ისიც თქვა, რომ რუს ოლიგარქს ჩვენი გუნდის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკება არ უწარმოებიათ, მაგრამ ბოლო დროს ყველაფერი გაირკვა...**

**ერთი რამ შეიძლება ითქვას. თუკი აბრამოვიჩი მართლაც გაიღებს სოლიდურ თანხას „მინარდში“, ეს გუნდი მომავალში აუტსაიდერთა რიგებიდან უძლიერესთა შორის გადაინაცვლებს.**

**ზოგი საინფორმაციო წყაროს ცნობით, თურმე აბრამოვიჩის სურვილია „მინარდი“ „ფერარიზე“ ძლიერი გახდეს. შეუძლებელი არაფერია, მთავარია გუნდს მაღალი დონის სპეციალისტები ჰყავდეს, რომლებსაც შეეძლებათ „მინარდის“ ბოლიდებს უძლიერესი, ძვირადღირებული ძრავა მოარგონ. მოკლედ, ყველაფერი ფულის საქმეა. აბრამოვიჩმა თუ მოინდომა, ვერსტაპენისა და კიესას ნაცვლად „მინარდის“ ღირსებას ფიზიკელა, ან ჰიდფელდი დაიცავენ.**




# ბელგიის „გრან-პრი“ ისევ გათამაშდება

საბოლოოდ გადაწყდა: ბელგია კიდევ ექვსი წლის განმავლობაში უმასპინძლებს „ფორმულა-1“-ის ერთ-ერთ ეტაპს, — ასეთია „ფორმულა-1“-ის ხელმძღვანელის ბერნი ეკლსტოუნის და ბელგიის ეკონომიკის პრემიერ-მინისტრის სერჟე კუბლას შეთანხმების შედეგი. ცნობილია,



რომ ბერნი ეკლსტოუნმა ბელგიის „გრან-პრი“ მსოფლიო ჩემპიონატის კალენდრიდან ამოიღო ბელგიის მთავრობის მიერ თამბაქოს ნაწარმზე რეკლამის აკრძალვის მიზეზით. ხელისუფლება საკმაოდ გვიან მიხვდა, რომ ასეთი ნაბიჯით, ერთის მხრივ ავტორბოლების მოყვარულებს გააწბილებდა, ხოლო მეორე მხრივ, საკმაო შემოსავალს დაკარგავდა. საბოლოოდ, ბელგიის ხელისუფლებამ თამბაქოს რეკლამის აკრძალვის შესახებ კანონის შემოღება 2005 წლისათვის გადადო, როცა ეს კანონი ევროკავშირის მიერ იქნება ამოქმედებული.

ბელგიის „გრან-პრის“ დაბრუნების შემდეგ, „ფორმულა-1“-ის მომავალმა სეზონმა ასეთი სახე მიიღო: ის 17 ეტაპისაგან შედგება (წლევანდელზე ერთი ეტაპით მეტი). „ფორმულა-1“-ის გარეშე დარჩნენ ავსტრიელები და კანადელები, რადგან ამ ქვეყნებში სიგარეტის რეკლამა უკანონოდ ითვლება.

„ავტორბოლების დიდი ცირკი“ ოთხ კონტინენტს მოიცავს. ევროპა მასპინძლობს „ფორმულა-1“-ის 10 ეტაპს, აზია — ოთხს (აქ დებიუტანტები არიან ჩინეთი და ბაჰრეინი), ამერიკა — ორს (აშშ-ს და ბრაზილიის „გრან-პრი“). როგორც ყოველთვის, სეზონი ავსტრალიის „გრან-პრით“ გაიხსნება 2004 წლის 7 მარტს.

საკმაოდ რთულ სიტუაციაში არიან სან-მარინოსა და ბრიტანეთის „გრან-პრის“ ორგანიზატორები. „ფორმულა-1“-ის ჩემპიონატის სიიდან ორივე ეტაპი, შესაძლოა, 2005 წლიდან საერთოდ გაქრნენ. ვაკანტურ ადგილებზე კი პრეტენზიას თურქეთი და რუსეთი აცხადებს, თუმცა საბოლოო სიტყვა ბერნი ეკლსტოუნზეა.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**22 აგვისტო, პარასკევი**

**საქართველოს ტელევიზია. მე-9 არხი.** „ქართული ფეხბურთი“ (14.50), **იმედი.** სპორტული პროგრამა „ასი“ (10.30). *НТВ плюс футбол.*. „გავიხსენოთ განვლილი სეზონი“. იტალიის ჩემპიონატი. „რომა“ — „ლაციო“ (13.15), „ფეხბურთი“ — „ფუტბოლ მუნდიალი“ (15.00), ამხანაგური მატჩი. გერმანია — იტალია (15.30), ბრაზილიის ჩემპიონატი. „კორინტიანსი“ — „ვასკუ და გამა“ (17.15), „გავიხსენოთ განვლილი სეზონი“. ესპანეთის ჩემპიონატი. „ბეტისი“ — „რეალ-სოსიედადი“ (19.20), ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (21.05), „ჩემპიონთა ლიგის არქივი“. 99/00 სეზონი. ნახევარფინალი. „ბარსელონა“ — „ვალენსია“ (22.20), გერმანიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (0.05), EUROSPORT. მძლეოსნობა. გრან-პრი (15.45, 18.00, 21.30, 1.15), ***НТВ плюс спорт***. სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი (5.55, 11.45), ტაილანდური კრივი (16.00).

**23 აგვისტო, შაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. მზერა.** ფეხბურთი. პრემიერ ლიგა. „ნიუკასლი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ (16.00), **როსია.** ფორმულა-1. გრან-პრი. (3.40). *НТВ плюс футбол.*. „ჩემპიონთა ლიგის არქივი“. 99/00 სეზონი. ნახევარფინალი. „ბარსელონა“ — „ვალენსია“ (13.15), ფინალი. „რეალი“ — „ვალენსია“ (0.15). ინგლისის ჩემპიონატი. „ნიუკასლი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“. პირდაპირი ტრანსლაცია (15.55), ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (17.55), გერმანიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (18.25, 20.45), „გავიხსენოთ განვლილი სეზონი“. იტალიის ჩემპიონატი. „რომა“ — „ლაციო“ (22.30), EUROSPORT. მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (11.30, 19.00), ფეხბურთი. პირდაპირი ტრანსლაცია (16.00), საბრძოლო ხელოვნება (0.00), ჩოგბურთი. „ვტა“. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია (2.15). ***НТВ плюс спорт.*** სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი (5.55, 14.45, 19.05), მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (11.25, 16.55, 19.05).

**24 აგვისტო, კვირა**

**საქართველოს ტელევიზია. მე-9 არხი.** „მსოფლიო ფეხბურთი“ (19.30), **იმედი.** სპორტული პროგრამა „ასი“ (14.30). *НТВ плюс футбол.*. გერმანიის ჩემპიონატი (13.20), ინგლისის ჩემპიონატი. „ნიუკასლი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ (15.05), გერმანიის ჩემპიონატი (16.50, 1.50), რუსეთის ჩემპიონატი. „როსტოვი“ — „ჩერნომორეცი“. პირდაპირი ტრანსლაცია (18.55), ინგლისის ჩემპიონატი. „მიდლსბრო“ — „არსენალი“ (21.10), რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (22.55), ბრაზილიის ჩემპიონატი. „ვასკუ და გამა“ — „სან-პაულუ“ (23.55). ***НТВ плюс спорт.*** სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები, ქალები. ფინალები ცალკეულ სახეობებში (4.25, 11.20, 15.20, 17.40). მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (12.25, 19.25), „საჭადრაკო მიმოხილვა“. ჭადრაკის ისტორია (18.40). EUROSPORT. მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (11.30, 14.45, 19.00, ფეხბურთი. პირდაპირი ტრანსლაცია (16.00), საბრძოლო ხელოვნება. „ტბა“ (0.00), ჩოგბურთი. „ვტა“. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია (2.15).

# ჩინელმა ტანმოვარჯიშეებმა მსოფლიო ჩემპიონატი მოიგეს

დასრულდა მსოფლიო ჩემპიონატი ტანვარჯიშში. ოქროს მედლები და პლანეტის ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს ჩინელმა ტანმოვარჯიშეებმა, რომლებმაც 171, 996 ბალი დააგროვეს. მეორე ადგილი დაიკავა აშშ-ს ნაკრებმა (171,21), ხოლო მესამე — იაპონელმა ტანმოვარჯიშეებმა (170, 708). წინა ჩემპიონატის გამარჯვებული ბელარუსის ნაკრები წელს ფინალშიც ვერ მოხვდა.

**ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ღვაწლმოსილი ჟურნალისტის, გაზეთ „თბილისის“ დაარსებიდან მისი თანამშრომლის, შესანიშნავი პიროვნების**

**მირიან ჭიჭინაძის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**



## კროსვორდი № 64

**თარაზულად:** 4. ზამთრის კურორტი საქართველოში, 5. „ბაიერნის“ ფეხბურთელი ნახევარმცველი, 8. „ვიტ ჯორჯიას“ ლეგიონერი ფეხბურთელი, 9. საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების მეკარე (1998 წ), 10. ცნობილი კორეელი ფეხბურთელი, 12. საფარიკაო იარაღი, 13. დგარებზე გადებული ნიშნული სიმაღლეზე ხტომაში, 17. სათამაშო ღამის კლუბი, 19. მოკრივის ინვენტარი, 20. ვლადიმერ ბარქაიას მეტსახელი, 21. მშვილდით სატყორცნი, 22. ჩოგბურთში პარტია.

**შვეულად:** 1. გაფრთხილება ძიუდოში, 2. „ბოხუმის“ ფეხბურთელი, 3. სარბენი არენა, 4. თბილისის „დინამოს“ ვეტერანი კალათბურთელი, 7. აწოწილი ტანის კაცი, 10. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია, 11. პირველი ბალტიისპირელი კალათბურთელი ნბა-ში, 14. წარსულში ცნობილი ქართველი მძლეოსანი, მორბენალი, 15. ქართული ხალხური თამაშობა, 16. რაგბიში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამპლუა, 18. ფინელი მორბენალი, ოლიმპიური ჩემპიონი (1920, 1924, 1928).

**შეადგინა ნოდარ ჯაჯვაძემ**

## კროსვორდი №63-ის პასუხები:

**თარაზულად:** 1. „ადიდასი“, 6. ნოკაუტი, 8. კოლოსკოვი, 11. აზია, 13. მეფე, 14. „კიევო“, 16. კაჩალინი, 17. ლი, 18. გურზი, 19. პენალტი, 21. ჯილდო, 22. „ოსი“, 23. კურტანიძე.

**შვეულად:** 1. „აეკი“, 2. სუმო, 3. პოლო, 4. ვარიანი, 5. ატაცი, 7. კოვერჩიანო, 9. კილანინი, 10. „გენკი“, 12. „აზოტი“, 15. ებრალიძე, 19. პასი, 20. ტირი, 21. ჯანი.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



**შამათი 2 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ლf7!
1. ..... მფ:e3 2. ლf2X, 1. ..... მფ:e5 2. ლf6X, 1. ..... მ-- 2. კc5X

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com